პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი მე-40 წელი
№ 121 (11732)

ოთხშაბათი, 25 მაისი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

მეცნიერულ აზრს — ფართო გზა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც 1960 წლის 18 ივნისს შეიდგება, განიხილავს მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარების და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიმდინარეობის საკითხს. სასიხარულოა, რომ პლენუმისათვის მზადების დღეებში ჩვენს მშვიდობიან ცაზე აიწია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ტრიუმფის გამომხატველი კოსმოსური ხომალდი. ამით ჩვენმა მეცნიერებამ ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი სამშვიდობო და ხალხის საკეთილდღეო იდეალები, რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობაში.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერებმა მთელ ხალხთან ერთად შვიდწლიანი გეგმა მიიღეს როგორც თავიანთი სახიცოცხლო, მშობლიური საქმე და მტკიცედ იბრძვიან მისი წარმატებით განხორციელებისათვის.

ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების გადამწყვეტი პირობაა, ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობაში — ეს არის მეცნიერებისა და ტექნიკის განუყოფელი განვითარება, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება, წარმოების ყველაზე სრულყოფილი ორგანიზაცია და მათს ბაზაზე საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ყოვლი ღონისძიებით გადიდება. მეცნიერების ყოველმხრივი განვითარება ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანაა.

მეცნიერების წინსვლისათვის პარტიისა და მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის ზრუნვაზე მეტყველებს უახლესი მოწყობილობით აღჭურვილ სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნა. მარტო უკანასკნელი წლების პერიოდში რესპუბლიკაში შეიქმნა 12 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და ორი სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 145 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და 18 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც წარმატებით მუშაობს მეცნიერებათა 400-ზე მეტი დოქტორი, მეცნიერებათა 3.000-მდე კანდიდატი, აგრეთვე 4.000-მდე სხვა მეცნიერი თანამშრომელი.

ჩვენს რესპუბლიკაში თვალსაჩინო ნაბიჯებია გადადგმული პრაქტიკასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. დიდი მოვლენა იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორის ამუშავება. სახალხო მეურნეობისა და მეცნიერული აზრის განვითარების სამსახურში დგას ახლახან ხაიკსლოატაციოდ გადაცემული უნივერსალური გამოთვლითი მანქანა „ურალი“.

ცხოვრებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებაზე მეტყველებს ის თვალსაჩინო შედეგები, რასაც თავიანთ მუშაობაში მიაღწიეს ქართველმა მათემატიკოსებმა, ქიმიკოსებმა, გეოლოგებმა, ენერგეტიკოსებმა, ბიოლოგებმა, ფიზიოლოგებმა.

ქართველ მეცნიერებს მუშაობის ახალი პერსპექტივები გადაუშალეს ჩვენი პარტიის XXI ყრილობის, სკკპ ივნისისა და დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებმა. ჩვენი გეოლოგები თვალსაჩინო შედეგებს აღწევენ რესპუბლიკაში ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ლითონების და სხვა სიმდიდრეთა დაზვერვის საქმეში. სახალხო მეურნეობის განვითარების სამსახურში დგება ჩვენი მეცნიერების გამოკვლევები ენერგეტიკაში, მეტალურგიაში, ქიმიურ მრეწველობაში, მშენებლობაში. ელექტრონიკაში, ავტომატიკასა და ტელემექანიკაში ნაყოფიერად მუშაობენ საკონსტრუქტორო ბიუროები.

ეს საერთო და უდავო წარმატებები, რასაც ქართველმა მეცნიერებმა მიაღწიეს, როდი გვაძლევს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა მიჩქმალვის საბაბს. ეს ნაკლოვანებანი უმთავრესად შეეხება მეცნიერული აზრის, ახალი გამოკვლევებისა და აღმოჩენების დანერგვას პრაქტიკაში, წარმოებაში. ჯერ კიდევ მოუგვარებელია სამეცნიერო დაწესებულებათა და საწარმოთა ერთობლივი მუშაობა. სამეცნიერო დაწესებულებები თავიანთ საკვლევ თემატიკას ნაკლებად უკავშირებენ წარმოების კონკრეტულ მოთხოვნილებებს, არ ითვალისწინებენ რესხუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭირბოროტო საკითხებს. სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში დამუშავებული მთელი რიგი საყურადღებო და პრაქტიკული წინადადებები დიდი დაგვიანებით ინერგება ცხოვრებაში, რადგან მათ სახალხო მეურნეობის საბჭოს საგეგმო კომისია, ოვით ინსტიტუტებისა თუ საწარმოების ხელმძღვანელები ერთგვარი უნდობლობით ეკიდებიან. მეტალურგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა დაამუშავა ტყიბულის ქვანახშირის ნარჩენებისაგან სოლიკალუმინის გამოდნობისა და მარგანეცის მადნების აგლომერაციის მნიშვნელოვანი საკითხები. დღემდე ისინი გამოყენებული არ არის პრაქტიკაში. ჭიათურიდან ექსპერიმენტები, ცდები წარმოებებში. ჯერ კიდევ ყოველმხრივ ვერ იქნა შესწავლილი რაბდოპისტიდან პლასტმასის მიღების, ხოლო საბადოებიდან ფისოვანი ლიპტობოლიტების გამოყოფის და სხვ. მნიშვნელოვანი საკითხები.

ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის XX ყრილობაზე სამართლიანად აღინიშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები დიდ ვალში არიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობის წინაშე. საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, ქიმიის თანამედროვე მიღწევების წარმოებში დანერგვა, ადგილობრივი რესურსებისა და წყაროების რეზერვების ღრმად შესწავლა და სხვა მრავალი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი ელის გაბედულ მეცნიერულ აზრს, ეს აზრი, ამ დარგში მიღწეული გამოკვლევანი, აღმოჩენები, შემუშავებული წინადადებანი შეუფერხებლად უნდა ინერგებოდეს პრაქტიკაში. პარტიული ორგანიზაციები, კერძოდ, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და შესაბამისი საწარმოების პარტიული ორგანიზაციები უნდა გამოდიოდნენ მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დანერგვის გაბედულ ხელშემწყობებად და ინიციატორებად, მეცნიერთა ახალი კადრების აღზრდის, სწორად მომზადებისა და გაბედულად დაწინაურების ორგანიზატორებად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის ისტორიული მასალები იმის კიდევ ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს, თუ როგორ ზრუნავენ პარტია და მთავრობა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. ეს დაფუძნებულია საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის ძლიერებაზე, მის განუხრელ განვითარებაზე. ამ საქმეში კი დიდია მეცნიერების, მის მიღწევათა, სიახლეთა პრაქტიკაში დანერგვის როლი.

მეცნიერება ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლის სამსახურში უნდა იდგეს.

ეჭვი არ არის, ქართველი მეცნიერები წარმატებით გაართმევენ თავს მათს წინაშე დასახულ ამოცანებს და ახალი წარმატებებით შეხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

მშენებელთა რესპუბლიკური თათბირი

24 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა მშენებელთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიიღეს მოწინავე მშენებლებმა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებმა, მშენებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა, არქიტექტორებმა, დამპროექტებლებმა, მეცნიერებმა.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გ. ი. ქადაგიძემ.**

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ვ. პ. მუავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ა. გეგეშიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე,** ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სამშენებლო ინდუსტრიის ნოვატორები.

თათბირმა განიხილა 1959 წლის მუშაობის შედეგები და რესპუბლიკის მშენებელი ორგანიზაციების ამოცანები 1960 წლისათვის.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ა. მ. ლაბახუამ.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მთავართბილისმშენის უფროსმა **გ. მ. ქართველიშვილმა,** აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ნ. აბაშიძემ,** ჭიათურმარგანმშენის ტრესტის მმართველმა **გ. ვ. შანიძემ,** საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა **ა. ნ. საბაშვილმა,** საქართველოს კომპარტიის ბუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **შ. ს. კობახიძემ,** მთავართბილისმშენის № 2 სამშენებლო სამმართველოს უფროსმა **ო. ი. კბილცეცხლაშვილმა,** ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველმა **ზ. ს. ჯაფარიძემ,** სამშენებლო საქმის ინსტიტუტის დირექტორმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **კ. ს. ზავრიევმა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **თ. კ. ქუთათელაძემ,** სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ე. შ. ამიჩბამ,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა **ს. ს. ლორთქიფანიძემ,** ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის I უბნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ს. ნ. გელაშვილმა,** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს უფროსმა **გ. ნ. ცინცაბაძემ,** საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **გ. ა. ჯაბუამ.**

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მუავანაძე,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

თათბირის მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს. მიღებულია აგრეთვე მიმართვა რესპუბლიკის ყველა მშენებლისადმი. (საქდესი).

გუშინ ჩაის პლანტაციებში

ჩხოროწყუს რაიონის მეჩაიეები წარმატებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. რაიონში სულ მოკრეფილია 960 ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ერთ დღეს მოიკრიფა 80 ტონაზე მეტი. დაწინაურდა ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც სულ მოკრიფა 15 ტონა. 24 მაისს მოკრიფეს 16 ტონაზე მეტი; მეურნეობის მუშამ მ. ვეკუამ მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და დღიური დავალება 400 პროცენტით გაანაღდა.

სოფელ ლესიჭინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მარგო სიჭინავამ მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაი, სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა დ. სორდიამ — 65 კილოგრამი. ამ კოლმეურნეობაში სულ მოკრეფილი 72 ტონა ჩაის ფოთოლი, მარტო ერთ დღეს მოკრიფეს რვა ტონამდე. ჩაის ფოთლის კრეფაში წინ მიდიან ნაფიჩხოვის, ჭოღის, ზუმის და სხვა კოლმეურნეობები.

* * *

ოჩამჩირე. სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თავი ისახელა კომკავშირელმა ნორა მარშავამ, რომელმაც მოკრიფა 47 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, დღიური დავალება 235 პროცენტით გაანაღდა, ხოლო ირინე ქალდანმა მოკრიფა 38 კილოგრამი, მერი მარშავამ — 36 კილოგრამი, შიტა ფანცულაიამ — 32 კილოგრამი, სოფელ აგუბედის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ წევრმა ვალენტინა ჩაჩხამ — 39 კილოგრამი, მერი გაბისონიამ — 36 კილოგრამი, ხოლო მაგოლია ხოჯავამ — 34 კილოგრამი.

შრიალებენ ხეივნები

ზუგდიდი. (საკ. კორ.). კარგია ახლა ზუგდიდის პარკში, სადაც გაბადრულა ყვავილები, შრიალებენ ხეივნები.

პარკს 28 ჰექტარი ფართობი უჭირავს. აქ გაჯეჯილია 26 სახელწოდების უცხო ჯიშები, ბევრი კი ადგილობრივი ჯიშის მცენარეა. პარკის მდმივი ბინადრები არიან დიდფოთლება მაგნოლია, მიმოზა, ოლეანდრი, კეკალროსი, კრიპტომერია, აღმოსავლეთის ტუია, აღმოსავლეთის ნაძვი, კაკალი, რცხილა, წიფელი, გრძელყუნწა მუხა, წაბლი, ბროწეული და სხვ. მნახველი ტკბება ულამაზესი ხეივნებით, რომლებიც თავისი სიმშვენიერითა და გრანდიოზულობით იზიდავენ დამსვენებლებს.

ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა პარკის მოვლა-პატრონობას და მის შემდგომ გამშენებელ-ბას. მარტო შარშან და წელს აქ ათასობით მრავალწლიანი მცენარე დაირგო, მოეწყო ყვავილნარები.

პარკის ტერიტორიაზე მოწყობილია ბავშვთა გასართობები—საქანელა, კარუსელი, ფრენბურთის მოედანი, გაიხსნა კაფე-რესტორანი, ესტრადა, დიდდა საკულტურები, გაკეთდა შადრევანი, გაყვანილ იქნა რადიო. ელექტროგანათება, დიდდა ახალი კინოსტაციონარი, შეძენილ იქნა 4 ნავი ხელოვნურ ტბაში სასეირნოდ.

მარტო წელს პარკის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე 150 ათასი მანეთი დაიხარჯა.

ლაკარაკოგს სტალინირი

ლაკარაკოგს სტალინირი! — ყოველ დილა-საღამოს გაისმის რადიოდიქტორის ხმა სტალინირიდან. სტალინირის ახალი რადიოსადგური პირველი მაისის წინადღეებში ჩაგდგა მწყობრში.

რადიოსადგურის საშუალებით პარტიული და საბჭოთა მუშაკები, წარმოებისა და საკოლმეურნეო მინდვრების ნოვატორები სამხრეთ ოსეთის მშრომელებს ესაუბრებიან საღღეისო ამოცანებზე, ქალაქსა და სოფლებში მოპოვებულ წარმატებებზე. რადიოსადგური ხშირად აწყობს ლიტერატურულ და მუსიკალურ გადაცემებს, დრამატული თეატრების დადგმებს ტრანსლაციას. დღითიდღე ფართოვდება ადგილობრივ გადაცემათა თემატიკა. სამხრეთ ოსეთის მშრომელთათვის ეს კარგი საჩუქარია. (საკ. კორ.).

საველე სასადილო ჩაის პლანტაციაში

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ“ (თავმჯდომარე ვ. კვირჩილაძე) მეჩაიეებმა ორგანიზებულად დაიწყეს ჩაის ფოთლის კრეფის ახალი სეზონი. დღითიდღე აძლიერებენ ფოთლის კრეფის ტემპს, ყოველდღიურად 9-10 ტონა ხარისხოვან ფოთოლს აბარებენ წარმოებას.

აქაურ კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ შვიდწლედის მეორე წელში 710 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი დაამზადონ ნაცვლად შარშან დამზადებული 686 ტონისა. დღემდე მოკრეფილი აქვთ 40 ტონა ფოთოლი, რაც 30 ტონით სჭარბობს გასული წლის შესაბამის პერიოდში დამზადებული ფოთლის ოდენობას.

კოლმეურნეობას მდინარე სკურდომის სანაპიროზე აქვს ჩაის 40 ჰექტარი უხვმოსავლიანი პლანტაცია, სადაც ამ დღეებში გაიხსნა ახალი კაპიტალური საველე სასადილო. აქ მზადდება იაფფასიანი და საუკეთესო ხარისხის კერძები, იყიდება პირველი მოთხოვნილების პროდუქტები, გამაგრილებელი წყლები. კოლმეურნეები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ.

„ბახტრიონი“ სცენაზე

გუშინ რუსთაველის სახელობის თეატრში შედგა პიესა „ბახტრიონის“ პრემიერა (ინსცენირებულია დავით გაჩეჩილაძის მიერ ვაჟა-ფშაველას ცნობილი დრამატული პოემის მიხედვით).

პიესის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო არტისტს **დ. ალექსიძეს;** მხატვრული გაფორმება — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს სტალინური პრემიის ლაურეატს **ფ. ლაპიაშვილს;** მუსიკა — კომპოზიტორ **ა. ჩიმაკაძეს.**

მთავარ როლებს ასრულებდნენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ხ. ზაქარიაძე** (ქადაგი), რესპუბლიკის სახალხო არტისტი **თ. ჭავჭავაძე** (სანათა), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი **კ. მახარაძე** (ანდარესი), მსახიობი **ზ. კვერენჩხილაძე** (ლელა), რესპუბლიკის სახალხო არტისტები **გიორგი საღარაძე** (უთურგა), **ემ. აფხაიძე** (ჯაბანა), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები **მ. ჩიხლაძე** (ლუხუმი), **ბ. ზაქარიაძე** (ზეზვა), მსახიობი **ჯ. დადანიძე** (წიწოლა) და სხვები.

სპექტაკლი, რომელიც გულთბილად მიიღო მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა, თეატრის კოლექტივის ახალ, უდავო წარმატებაზე მეტყველებს.

„მაოი ხმლები ნაპერწკლებს აფრქვევს“

გუშინ „კომუნისტის“ რედაქციამ კვლავ მიიღო პაკეტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მასში აღმოჩნდა იქაური გაზეთების რეცენზიები, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლებს. ქვემოთ მოგვაქვს რამდენიმე წერილის თარგმანი.

გაზეთ „მირორ ნიუსში“ დაბეჭდილია ვიოლა სვინსერის რეცენზია, სადაც ვკითხულობთ:

„წუხელ საღამოს „ბრაინის აუდიტორიუმში“ ქართველებმა გამართეს პირველი წარმოდგენა, რომელსაც უამრავი მაყურებელი ესწრებოდა.

ქართველების ხელოვნება მეტად ხალხურია. ვაუები ხმლებით იბრძვიან სცენაზე, ფეხის წვერებზე. მათი ყოველი მოძრაობა გრაციოზულია, ბრწყინვალე, დახვეწილი, განსაცვიფრებლად სწრაფი, თანდაყოლილი, ბუნებრივი სულისკვეთება აცეკვებს მათ ასე — სწორედ ამიტომ ახდენენ ქართველები დიდ შთაბეჭდილებას. მათი ცეკვა განსხვავდება ბალეტისაგან. ფეხი ჯრ იღუნება, ფეხის აწევა მაღალი არ არის და ძლიერ ეფექტურია. ტანწერწეტა, ტურფა ქალიშვილები წარმოადგენენ კონტრასტს ენერგიულ მამაკაცებთან შედარებით.

ერთ-ერთი უყველაზე პოპულარული ცეკვა იყო „ხეხუურული სიუიტა“, სადაც მამაკაცები იბრძოდნენ ხმლებით ისე, რომ აღელვებულ მაყურებლებს ნაპერწკლები დაეფრქვა.

„მხედრულის“ და „შეჯიბრის“ დროსაც მამაკაცები ასრულებდნენ შესანიშნავ ტრიუკებს. ამ ცეკვების დროს სინხაცია მოახდინა მოხლებზე ხტომამ, ტრიალმა, ხტუნვამ, განსაცვიფრებელმა სისწრაფემ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მზად იყვნენ ჰაერში გაფრენილიყვნენ. მოსახწონი იყო „ლელო“, იუმორით აღსავსე ეროვნული ცეკვა.

გაზეთ „სან-ფრანცისკო ეგზაიმინერში“ მოთავსებულია რეცენზია სათაურით „საქართველოს დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავეები ცეკვების დროს ნაპერწკლებს აფრქვევენ“. წერილის ავტორი ალექსანდრ ფრიედი წერს:

„გასაკვირველია, საქართველოს დამსახურებული ანსამბლის წევრებმა თვი როგორ არ მოაჭრეს ერთმანეთს გუშინ „ოპერა ჰაუზში“ გამართულ ამაღელვებელ წარმოდგენაზე. ქართველები განსაცვიფრებლად ებრძვიან ერთმანეთს ხმლებით. მათი ბრძოლის დროს ნაპერწკლები ცვივა ჰაერში. ცეკვა იყო ოსტატური, დაუცხრომელი. საოცრებაა, რომ არავინ დაშავდა. მაყურებელმა ისინი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა. ქალიშვილები საკორწინო კაბებით აღსავსე არიან სინაზითა და ქედმამოსილებით.

„ამაღელვებელი საცეკვაო პროგრამა — აღმოსავლური კოლორიტით და მებრძოლი სულით გაჟღენთილი წარმოუდგინა საქართველოს დამსახურებულმა ანსამბლმა მრავალრიცხოვან მაყურებელს „ბრაინის აუდიტორიუმში“. ქართველი მოცეკვავეები ვირტუოზულად ფრენენ ჰაერში. ისინი ცეკვავენ ფეხის წვერებზე, ხტებიან, ასრულებენ პირუეტებს და ისევ ფეხის წვერებზე ეშვებიან. ისინი ძალიან მაღლა ხტებიან ჰაერში, რის დროსაც მუხლებს კეცავენ, ამის გამო ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს უფრო მაღლა ხტებოდნენ, და ამას ყველაფერს ასრულებენ დიდი გაქანებით და ენთუზიაზმით. ბევრი ცეკვა ძველი საუკუნეების დროინდელია და ტანსაცმელიც შესაფერისია.

მთავარი სოლისტია ნ. რამიშვილი, ხოლო ი. სუხიშვილი წარმოგვიდგა, როგორც საუცხო ქორეოგრაფი.

კარგი იყო მოცეკვავე, რომელიც ორ მოჭიდავე კაცს წარმოადგენდა. სახუმარო ცეკვებიდან კარგი იყო „ლელო“, რომელიც ჩვენს ძველ ცეკვას წაგავს. პროგრამა დასრულდა გრანდიოზული ცეკვებით, რომლებიც უნდა ნახო, რომ დაიჯერო“. ეს წერილი დაბეჭდილია გაზეთ „სიიუზენ ნიუსში“ სათაურით „ქართული ცეკვები გვაღელვებენ“.

გაზეთი „ლოს ანეჯელოს ტაიმსი“ მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი მოცეკვავეების ქორეოგრაფიულ ხელოვნებას. აქვე მოთავსებულია ანსამბლის სოლისტის თენგიზ ურთმელიძის სურათი, რომელიც ფოტორეპორტიორს გადაუღია ლოს ანეჯელოსის ერთ-ერთ ქუჩაზე „სიტი ჰოლის“ წინ ვარჯიშის დროს გაზონზე.

* * *

გუშინ საღამოს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელი ტელეფონით დაუკავშირდა ქალაქ ვაშინგტონში სასტუმრო „როლანში“ საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ილიკო სუხიშვილს, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

— ჩვენი ანსამბლის გამოსვლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანადაში დიდი წარმატება ხვდა წილად. ამჟამად კონცერტებს ვმართავთ ვაშინგტონში, სადაც 26 მაისს დავამთავრებთ გასტროლებს და მექსიკაში გავემგზავრებით. პირველ ივნისიდან ორი კვირის განმავლობაში მექსიკის სხვადასხვა ქალაქში გავმართავთ კონცერტებს. შეიძლება ოფიციერთ, რომ ასე ხანგრძლივი საგასტროლო ტურნე მოსახეზრებელი იყოს, მაგრამ ანსამბლის ყველა წევრს კარგად აქვს შეგნებული ის დიდი მოქალაქეობრივი მორალი, რომელიც საბჭოთა ქვეყნის ადამიანებისათვისაა დამახასიათებელი. ჩვენი ანსამბლი მრავალ ქვეყანაში ყოფილა გასტროლებზე. მისი ყოველი წევრი ჩვენი დიდი ქვეყნის მოქალაქისათვის დამახასიათებელი მაღალკეთილშობილური თვისებებით გამოირჩეოდა და ამჟამადაც ქართველი მსახიობები უმწეოებულოდ ატარებენ საბჭოთა ხელოვნის სიმტიკის სახელს. საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი, რომელიც ერთ მთლიან, მჟიდროდ შეკავშირებულ, მონოლითურ კოლექტივს წარმოადგენს სამაგალითო და მისაბაძია მაღალკეთილშობილური თვისებებით, პატრიოტული გრძნობით.

ანსამბლის თვითეული წევრი მხურვალე, გულწრფელ სალამს უგზავნის ქართველ ხალხს, საქართველოს ყველა მშრომელს, რომელთა წარგზავნილებიც ისინი არიან.

კოსმოსური თანამგზავრის მოძრაობის შესახებ

28 მაისის 18 საათისათვის, მოსკოვის დროით, საბჭოთა კოსმოსურმა თანამგზავრმა ხომალდმა 134-ჯერ შემოუარა დედამიწას და ამ ხანში გაიარა 5,7 მილიონი კილომეტრი. ხუთი დღე-დამეა თანამგზავრი ხომალდი მოძრაობს ახალი ორბიტით, მერმეტული კაბინა, რომელიც თანამგზავრ ხომალდს გამოეყო, ამჟამად მოძრაობს ორბიტით, რომელიც ძალიან ახლოა ხომალდის ორბიტასთან.

წინათ მოყვანილი მონაცემები თანამგზავრი ხომალდის ახალი ორბიტის შესახებ მთლიანად დაადასტურა პირდაპირ გაზომვათა შედეგებმა. თანამგზავრ ხომალდის მიმოქცევის პერიოდი უდრის 94.25 წუთს, ხოლო აპოგეა და პერიგეა შეადგენენ შესაბამისად 690 და 306,5 კილომეტრს.

თანამგზავრ ხომალდზე დადგმული რადიომიმღები „სიგნალი“, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცის სიხშირით, კვლავ ნორმალურად მოქმედებს. და აწვდის დედამიწას ცნობებს წნევის, ტემპერატურისა და ხომალდზე დადგმული ხელსაწყოების მუშაობის შესახებ.

თანამგზავრ ხომალდიდან გადმოცემული დიდძალი ტელემეტრიული ინფორმაციის დამუშავების შედეგად მიღებულია ძვირფასი მასალები. კერძოდ მიღებულია მნიშვნელოვანი მონაცემები პროცესების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია თანამგზავრ ხომალდის გადაკვანასთან ერთი ორბიტიდან მეორეზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ შესაძლებელია თანამგზავრთა მოძრაობის მართვა.

თანამგზავრ ხომალდიდან კვლავ იღებენ ტელემეტრიულ ინფორმაციას და ამუშავებენ. უკანასკნელად მიღებული მონაცემების საფუძველზე კაბინაში შენარჩუნებულია პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის სასიცოცხლო მოქმედებას.

მატარებელი რაკეტის უკანასკნელმა საფეხურმა, რომელიც განაგრძობს მოძრაობას წინანდელი ორბიტით, 28 მაისს 18 საათისათვის 137-ჯერ შემოუარა დედამიწას. ამრიგად, ამჟამად შეიძლება ცალ-ცალკე დავინახოთ თანამგზავრი ხომალდი, მისგან გამოყოფილი კაბინა და მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხური.

მჯიდე პროფესია

გერმანიაში საბჭოთა შტაბის ჯარების ცნობა

ბერლინი, 24 მაისი (საკდესი). 1960 წლის 20 მაისს შუა ევროპის დროით 12 საათსა და 44 წუთზე ამერიკის შეერთებული შტატების მე-17 საჰაერო არმიის თვითმფრინავმა დაარღვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი ქალაქ კიულუნგსბორნის რაიონში (22 კილომეტრზე ქალაქ როსტოკის ჩრდილო-დასავლეთით) და შემოვიდა მის ტერიტორიაზე 35 კილომეტრამდე.

გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის სარდლობამ, რომელიც მოქმედებდა ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების სარდლობას მტკიცე პროტესტი გაუცხადა, ამასთან აღნიშნა, რომ მომხდარი ინციდენტისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად და სავსებით ეკისრება ამერიკის ჯარების სარდლობას დასავლეთ გერმანიაში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ წერილის ტექსტს, რომელიც გაუგზავნა ევროპაში ამერიკის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალს გენერალ ედლმანს:

ბატონო გენერალო,

1960 წლის 20 მაისს შუა ევროპის დროით 12 საათსა და 44 წუთზე თვითმფრინავმა, რომელიც ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებს, დაარღვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი ქალაქ კიულუნგსბორნის რაიონში (22 კილომეტრზე ქალაქ როსტოკის ჩრდილო-დასავლეთით) და შემოვიდა მის ტერიტორიაზე 35 კილომეტრამდე. საბჭოთა მოქალაქე ავიაგამანადგურებლებმა არა ერთხელ მისცეს დამრღვევ თვითმფრინავს დაწესებული სიგნალები დასაშვებად, მაგრამ დამრღვევმა თვითმფრინავმა ყურადღება არ მიაქცია მათ, რითაც გამოიწვია საბჭოთა ავიაგამანადგურებლების მხრივ სამართლიანი გადამწყვეტი მოქმედება, რომლებმაც აიძულეს იგი დაშვებულიყო ქალაქ კიულუნგ.

თვითმფრინავში იყვნენ ეკიპაჟის მეთაური ლუნდი ჯეიმსი, პირველი პილოტი კაპიტანი იორდან გეორგი, შტურმან-კაპიტანი ფრევენ ვილიამი, ბორტ-ინჟინერი კაპრალი ფლიცერ ჩესტერი, რადისტი კაპრალი პორტერ ლეონინ; მგზავრები კაპიტანი პოლ მაკეში, მისი ცოლი მაკეშ ბარბარა, კაპრალი მარუზან ჯეიმსი, კაპრალი ჰარვინ ჯეიმსი.

ეკიპაჟი, მგზავრები და თვითმფრინავი დაშვების დროს არ დაზარალებულან. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავ

საქართველოს
კომუნისტური
პარტიის
ცენტრალური
კომიტეტის
პლენუმზე

23 მაისი, 1960 წელი.

ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების სამედიცინო მომსახურება და ჯანმრთელობის დაცვა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის. უდიდესი ჰუმანურობის ახალ აქტს, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის, წარმოადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამას წინათ მიღებული დადგენილება „სსრ კავშირის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც 23 მაისს გაიმართა. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ფ. დ. დუმბაძემ.**

მომხსენებელი ამბობს, რომ საბჭოთა ადამიანები ცხოვრობენ დიდ მოვლენათა შესანიშნავ დროში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მიიღო კანონები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, კომუნიზმისაკენ ჩვენი განუწყვეტელი წინსვლის დაჩქარებისათვის. ამას მოჰყვა პირველი კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის გაშვება. ყოველივე ეს მოწმობს სოციალისტური წყობილების კოლოსალურ უპირატესობასა და შესაძლებლობებს, განასახიერებს საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მშვიდობიან პოლიტიკას.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად უჭერენ მხარს თავიანთი მთავრობის თანმიმდევრულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას და საგანგებო იერსახით ამონაბეჭდ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას პარიზში დასავლეთის სახელმწიფოთა მეთაურებთან წინასწარ შეხვედრაზე. საბჭოთა ადამიანები გულისწყრომას გამოთქვამენ ამერიკის მეერთებული შტატების მმართველი წრეების ვერაგული მოქმედების გამო, გმობენ ამერიკელ იმპერიალისტთა პროვოკაციას. ამ დღეებში საქართველოს მშრომელები ახალი ძალით ცხადყოფენ თავიანთ მონოლითურ შეკავშირებას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ამხ. დუმბაძე შემდეგ ამბობს, რომ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმაგალითო აღმავლობა, საბინაო მშენებლობის ფართო გაქანება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, სულიერ ფასეულობათა ყოველდღიური ზრდა ხმარდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობას. იგი ეხება საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის წარმატებებს, იმ ამოცანებს, რომლებიც დასახულია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულია შავი ჭირი, ხოლერა, ყვავილი. თავიდან აცილებულია ისეთ დაავადებათა გავრცელების შესაძლებლობა, როგორიც არის მალარია, ტუბერკულოზი, ტიფი და სხვები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სიკვდილიანობა, განსაკუთრებით ბავშვთა შორის. ჩვენში თანდათანობით იზრდება მოსახლეობის რიცხვი. ყველაფერი ეს განპირობებულია უწინარეს ყოვლისა ისტორიული გამარჯვებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებით. ყოველივე ეს შედეგია პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვისა ადამიანებისათვის, მათი ჯანმრთელობისა და ყოფაცხოვრებისათვის.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, რამაც კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებაზე. გაფართოვდა სამკურნალო, სამედიცინო, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ქსელი. მედიცინის პრაქტიკაში დანერგილია მკურნალობის ახალი მეთოდები, გამოყენებულია უახლესი აპარატურა. მოგვარებულია მთელი რიგი სამკურნალო პრეპარატების წარმოება.

ამასთან ერთად რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ბევრი პოლიკლინიკა, ამბულატორია და საექიმო უბანი, ყველაზე მასობრივი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი.

საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას დიდი ზიანი მოაქვს, განსაკუთრებით სამკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობაში. ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ მცხეთის, სამტრედიის, დუშეთის, საგარეჯოსა და მთელ რიგ სხვა რაიონებში ლიკვიდირებული არ არის ზოგიერთი ინფექციური დაავადება, რაც იმის შედეგია, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს.

საჭიროა მივაღწიოთ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა, სანიტარულ-ჰიგიენური წესების უნაკლოდ განხორციელებას, გავაძლიეროთ სანიტარული კონტროლი საზოგადოებრივი კვების საწარმოებისადმი.

ამა თუ იმ დაავადებისა და მათი წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრა უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, მედიცინის ყველა მუშაკის, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ყოველდღიური ზრუნვის საგანი. ყოველი ღონისძიებით უნდა შევუწყოთ ხელი მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის ამაღლებას.

მუშაობის დიდმნიშვნელოვანი უბანია ბრძოლა ტრავმატიზმისა და პროფესიულ დაავადებათა წინააღმდეგ. მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ცალკეული ხელმძღვანელები, ტექნიკური ინსპექციის მუშაკები საკმაოდ არ მუშაობენ შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის საკითხებზე, სუსტად ახორციელებენ კონტროლსა და ტექნიკურ ზედამხედველობას სამუშაოთა მიმდინარეობისადმი. საწარმოთა საამქროებში ცოტაა საშხაპეები, პირადი ჰიგიენის ოთახები. ცხელ საამქროებში არ არის სპეციალურად მოწყობილი მოედნები მუშების ხანმოკლე დასვენებისათვის. ყველგან როდია საველტილაციო დანადგარები.

საწარმოთა ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სახალხო მეურნეობის საბჭო და მისი დარგობრივი სამმართველოები, საამქროთა ექიმი-ორდინატორები, ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების, პროფესიულ დაავადებათა, შრომის, ჰიგიენის, ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკები მოწოდებული არიან უზრუნველყონ იმ ღონისძიებათა შეარულება, რომლებიც ხელს უწყობენ ტრავმატიზმის, პროფესიულ დაავადებათა წარმოშობის შემთხვევების თავიდან აცილებას.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების რთულ და მრავალფეროვან საქმეში წამყვანი როლი ეკუთვნით მასობრივი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა—ამბულატორიების, პოლიკლინიკების, დისპანსერების, ბავშვთა და ქალთა კონსულტაციების მუშაკებს. შეიძლება დავასახელოთ ბევრი ისეთი დაწესებულება, სადაც დიდი ყურადღება ექცევა დისპანსერულ მუშაობას, სადაც სისტემატურად ეწყობა მშრომელთა კომპლექსური გამოკვლევა და შესაბამისი მკურნალობა. ეს ეფექტიან შედეგებს იძლევა.

მაგრამ პოლიკლინიკების, ამბულატორიების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. კერძოდ, მოსახლეობის მომსახურების ისეთ პროგრესულ ფორმას, როგორიც არის დისპანსერიზაცია, ჯერ კიდევ არ დაუკავებია სათანადო ადგილი ამ სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობაში. რესპუბლიკის მოსახლეობის უმნიშვნელო პროცენტია აყვანილი დისპანსერულ მომსახურებაზე. მუშები და მოსამსახურეები არასაკმაო საათებში მოკლებული არის შესაძლებლობას ისარგებლონ სამედიცინო დახმარებით, რადგან საღამოს საათებში მეტი წილი სამკურნალო კაბინეტები დაკეტილია. საკმაოდ არ არის მოწყობილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კონსულტაცია. ხშირად გამოძახების შემდეგ ექიმები დაგვიანებით მიდიან ავადმყოფებთან, ხოლო განმეორებით გამოძახების დროს ხშირად სრულიადაც არ მიდიან.

ჩვენი რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა მრავალათასიან კოლექტივში, რომელნიც კეთილსინდისიერად ემსახურებიან მოსახლეობას, არიან ისეთი ექიმებიც, რომლებიც არ იჩენენ ჯეროვან პატივისცემას თავიანთი პროფესიისადმი, გულგრილად ეკიდებიან ავადმყოფებს. ხშირად ამგვარ ფაქტებს ადგილობრივი ორგანიზაციები უყურადღებოდ ტოვებენ. ეს ფაქტები არ ხდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მისი კოლეგიის მსჯელობის საგანი.

ცალკეული ექიმების უსულგულო დამოკიდებულება ხალხის თვალში ლახავს მედიცინის მუშაკთა მაღალ ავტორიტეტს. ხოლო თუ ექიმმა დაკარგა ავტორიტეტი, რა სარგებლობას მოუტანს იგი ავადმყოფებს თავისი მკურნალობით?

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა პოლიკლინიკების მატერიალური ბაზის გახმტკიცებისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა პოლიკლინიკას როდი აქვს ნორმალური მუშაობის პირობები. ზოგიერთი პოლიკლინიკა მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში, ცუდად არის აღჭურვილი სამედიცინო აპარატურით და ინვენტარით. საავადმყოფოებთან პოლიკლინიკების შეერთების შემდეგ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ საავადმყოფოები, ხოლო პოლიკლინიკები მეორე პლანზე გადავიდნენ. როგორც ჩანს, ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის რაიონული განყოფილებების გაუქმებამ და მათი ფუნქციების გადაცემამ გაერთიანებული საავადმყოფო-პოლიკლინიკების მთავარი ექიმებისათვის. ეს საკითხი უნდა შევისწავლოთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსახლეობის პოლიკლინიკური მომსახურების საკითხს. ეს ჩვენგან მოითხოვს პოლიკლინიკების ქსელის გაფართოებასა და მათი მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას.

მუშაობა უნდა გაუმჯობესონ აგრეთვე სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების სადგურები. ამ სამკურნალო დაწესებულებებს მაშინ მიმართავენ, როცა ადამიანი უაღრესად მძიმე მდგომარეობაშია, როცა მის სიცოცხლეს პირდაპირი საფრთხე მოელის. სწორედ ამიტომ აქ უნდა მუშაობდნენ დიდი გამოცდილების მქონე და მაღალი კვალიფიკაციის ექიმები. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ სამკურნალო დაწესებულებებს. მათს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. არის შემთხვევები, როცა სასწრაფო დახმარების მანქანები გამოძახების ადგილას მიდიან დიდი დაგვიანებით, ხოლო ზოგჯერ მათ იყენებენ არაპირდაპირი დანიშნულებით. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემაში მუშაობენ ვიწრო სპეციალობისა და დაბალი კვალიფიკაციის მთელი რიგი ექიმები, რომლებიც თავს ვერ ართმევენ პასუხსაგებ მოვალეობას, რაც ხშირად ეკისრებათ აეთ სამედიცინო დაწესებულებათა მუშაკებს.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა უმოკლეს ვადაში უნდა გადასინჯონ სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების სადგურები და დაკომპლექტონ ისინი შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმებით და უზრუნველყონ მუშაობის ისე მოწყობა, რომ ეს სამედიცინო დაწესებულებები სავსებით შეესაბამებოდნენ თავიანთ დანიშნულებას.

მოხსენებაში აისახა საკითხები, რომლებიც ეხება სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას. მუშაობა ამ უბანზე რაოდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ არ შეიძლება დაკმაყოფილდეთ მიღწეულით. მთელ რიგ სოფლებში სამედიცინო მომსახურების დონე დაბალია, ზოგჯერ ავადმყოფები მიტოვებული არიან მხოლოდ საშუალო სამედიცინო პერსონალის ამარა. საავადმყოფოები გათვალისწინებულია 5-10 საწოლისათვის და არ შეესაბამება თავის დანიშნულებას.

ყურადღების ღირსია ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობათა თაოსნობა, რომლებმაც გაშალეს საკოლმეურნეობათაშორისო საავადმყოფოების მშენებლობა კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებს ყველა შესაძლებლობა აქვთ მიბაძონ ამ მაგალითს. ამას მოწმობს მახარაძის რაიონის კოლმეურნეობათა პრაქტიკა, რომლებიც გამოვიდნენ საქართველოში საკოლმეურნეობათაშორისო სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის ინიციატორებად. ისინი აშენებენ საკოლმეურნეობათაშორისო ტუბერკულოზურ დისპანსერს, რომლისთვისაც ასიგნებულია ორი მილიონი მანეთი განუყოფელი ფონდებიდან. რა უშლის ხელს ზუგდიდის, ქობულეთის, თელავის, გურჯაანისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებს საკოლმეურნეობათაშორისო სავადმყოფოების, ამბულატორიებისა და პოლიკლინიკების მშენებლობაში? მათ ამისათვის ყველა შესაძლებლობა აქვთ.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა კონკრეტული პირობების გათვალისწინებით უნდა დაგეგმონ სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა. ამასთან მხედველობაში მიიღონ, სად უფრო მოსახერხებელი იქნებიან ისინი მოსახლეობისათვის. უნდა აღმოიფხვრას ცალკეულ კოლმეურნეობათა მისწრაფება ააშენონ საავადმყოფო ან პოლიკლინიკა აუცილებლად თავიანთი სოფლის ცენტრში. საჭიროა მოსახლეობის რიცხვისა და ორი ან სამი კოლმეურნეობის ან სასოფლო საბჭოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით განისაზღვროს მშენებლობის ადგილი და შეიქმნას ისეთი სასოფლო სამედიცინო დაწესებულება, რომელიც დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. ჩვენმა საპროექტო ორგანიზაციებმა კოლმეურნეობები უნდა უზრუნველყონ ტიპური პროექტებით საკოლმეურნეობათაშორისო სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობისათვის.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ინტერესები მოითხოვს საავადმყოფოთა მშენებლობის დაჩქარებას. მაგრამ მშენებლობის სამინისტრო, ტრესტი „მთავართბილისმშენი“ ნელა აშენებენ. მაგალითად, თბილისის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს შენობის აგება უნდა დამთავრებულიყო ჯერ კიდევ 1958 წელს, მაგრამ დღემდე არ დამთავრებულა. თბილისის ინფექციური საავადმყოფოს მშენებლობა, რომელიც 12 წლის წინათ დაიწყო, აგრეთვე ჯერაც არ დამთავრებულა.

მოხსენებაში გაშუქებული იყო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმის გაუმჯობესებასთან, მედიკამენტებით მოსახლეობის უზრუნველყოფასთან, სამკურნალო დაწესებულებებში კვების გაუმჯობესებასთან.

ამხ. დუმბაძე ლაპარაკობს იმ ზრუნვასა და ყურადღებაზე, რომლებითაც ჩვენს ქვეყანაში სარგებლობენ დედა და ბავშვი. პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ქალთა ნაყოფიერი მუშაობისა და დასვენების, ბავშვთა აღზრდის პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს.

სოხუმის, ბათუმის, ფოთისა და რუსთავის საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა არ შეასრულეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება რძის სამზარეულოების გახსნის შესახებ. სახალხო მეურნეობის საბჭომ ვერ უზრუნველყო ნარევების საჭირო რაოდენობითა და ასორტიმენტით გამოშვება.

საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებაში დიდ როლს ასრულებს კურორტების, ჯანმრთელობის კერების სანიმუშო მუშაობის ორგანიზაცია. ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა ახალი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ასაშენებლად. კურორტების კეთილმოსაწყობად, სამკურნალო საქმის, დამსვენებელთა კვებისა და კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით კურორტები ახლა გადაცემულია პროფკავშირთა გამგებლობაში. ამის მეოხებით შექმნილია პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ჯანმრთელობის კერებში მშრომელთა ფართო მასების მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას.

სანატორიუმების პრაქტიკაში უნდა დაინერგოს მკურნალობის ახალი მეთოდები, რომლებიც შეიმუშავეს მეცნიერმა კურორტოლოგებმა. ყურადღება მიექცეს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების შესწავლას. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ვაჭრობის სამინისტრო მოვალენი არიან უზრუნველყონ კურორტები რძის პროდუქტებით, ხილით, ბოსტნეულით.

მომხსენებელი შეეხო სამედიცინო კადრების მომზადების, ექიმთა, განსაკუთრებით სოფლის ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა შეიქმნას პირობები იმ ახალგაზრდა ექიმების მუშაობისათვის, რომლებიც რაიონებში იგზავნებიან.

საბჭოთა ექიმი, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. დუმბაძე, უნდა უფრთხილდებოდეს თავის ავტორიტეტს, პრესტიჟს. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უცხო და მიუღებელია, როცა ზოგიერთი ექიმი, მათ შორის თვალსაჩინო სპეციალისტები, გამოედევნება ხოლმე კერძო პრაქტიკას პირადი გამდიდრების მიზნით.

ხალხს უყვარს და აფასებს ისეთ სპეციალისტებს, როგორიც არიან პროფესორები ერისთავი, ზურაბაშვილი, მენთეშაშვილი და ბევრი სხვა, რომლებიც მთელ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარენ ავადმყოფთა მკურნალობასა და მოვლას საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რესტოველ მედიკოსთა ინიციატივამ, რომელსაც მხურვალედ დაუჭირა მხარი ბევრმა ჩვენმა ექიმმა, დოცენტმა და პროფესორმა, ათასობით ახალი მიმდევარი უნდა მოიპოვოს. მათ თავისუფალი საათები უნდა მოახმარონ მუშაობას პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებში. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სამედიცინო დაწესებულებათა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭო, აგრეთვე მისი დარგობრივი კომიტეტები. სამეცნიერო საბჭო აჭიანურებს დასკვნების მოცემას მთელი რიგი სამკურნალო პრეპარატების ვარგისიანობის შესახებ, ხოლო რაციონალიზაციისა და გამოგონების კომიტეტი — მკურნალობის მეთოდების, ახალ ხელსაწყოთა მნიშვნელობის შესახებ. დარგობრივ კომიტეტებს არ მიუციათ და, მაშასადამე, სამეცნიერო საბჭოს დღემდე არ განუხილავს და დასკვნა არ წარმოუდგენია 18 წინადადებაზე, რომლებიც ავტორებისაგან მიღებულია ჯერ კიდევ 1954 წელს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის განყოფილება და მასში გაერთიანებული ინსტიტუტები საკმაოდ არ არიან დაკავშირებული მასობრივ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან, ჯეროვნად არ ეხმარებიან მათ საბჭოთა მედიცინის უახლესი მიღწევების დანერგვაში. ამის შედეგია ის, რომ ამ ინსტიტუტების, აგრეთვე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მიერ გამოცემულ ზოგიერთ წიგნში, მონოგრაფიასა და გამოკვლევაში დასმული არ არის საპრობლემო, სასიცოცხლო საკითხები, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ და შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ექიმებსა და მედიცინის სხვა მუშაკებს მათს მრავალმხრივ საქმიანობაში, ხელი შეუწყონ სამამულო მედიცინის მეცნიერების განვითარებას.

ცალკეული შრომები. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ გამოცემულია არა იმიტომ, რომ მათ სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, არამედ მხოლოდ იმ მოსაზრებებით, რომ გამომცემლობებს, რედაქტორებს, რეცენზენტებს არა სურთ აწყენინონ ავტორს, არ ეუბნებიან მას სიმართლეს, არ აკრიტიკებენ.

მოხსენების დასასრულს ამხ. დუმბაძემ გამოთქვა რწმენა, რომ ჯანმრთელობის დაცვის ჩვენი აქტივი, მუშაკთა არმია, გამსჭვალული მათ წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების მთელი სიდიადით, შემდგომ გაუმჯობესებენ საბჭოთა ადამიანების სამედიცინო მომსახურებას და ჯანმრთელობის დაცვას.

კამათში გამოსულნი ლაპარაკობდნენ პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელ მამობრივ ზრუნვაზე საბჭოთა ადამიანების საჭიროებებისათვის, იმაზე, თუ როგორ ჩაღდება მუშაობა, რათა განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, პრაქტიკულ ღონისძიებებზე მოსახლეობაში სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მუშაობის გასაუმჯობესებლად, ამხილებდნენ ნაკლოვანებებს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობაში.

საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს, თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა **ს. კ. ჩხარტიშვილმა,** მომსახურებას უწევენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 8.600 მედიცინის მუშაკი. წელს ჯანმრთელობის დაცვაზე დაიხარჯება 155 მილიონი მანეთი — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთელი ბიუჯეტის 20 პროცენტამდე.

წლითიწლობით უმჯობესდება ქალაქის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. მედიცინის მუშაკთა უმრავლესობა ჯეროვან მზრუნველობას იჩენს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისათვის და დაამსახურა ხალხის სიყვარული და პატივისცემა. მაგრამ მედიცინის მუშაკთა შორის, სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც ავადმყოფებისადმი თავიანთი უსულგულო დამოკიდებულებით არცხვენენ ექიმის საპატიო სახელს. უნდა გაძლიერდეს პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობა სამედიცინო დაწესებულებებში.

თბილისში აშენებულია მთელი რიგი ახალი საავადმყოფოები, გაფართოებული და რეკონსტრუირებულია არსებულ საავადმყოფოთა უმრავლესობა. მიუხედავად ამისა, ქალაქში იგრძნობა საავადმყოფოთ საწოლების ნაკლებობა. ამიტომ შეუწყნარებელია ლენინის რაიონში სომატური საავადმყოფოს და კიროვის რაიონში სამშობიაროს სახლის მშენებლობის გაჭიანურება, რაც გამოწვეულია იმით, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მათი მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები სხვა ობიექტის აგებაზე გამოიყენა.

საჭიროა ყურადღება მიექცეს სამედიცინო კადრების სწორად გამოყენებას. მაშინ როცა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში არის ექიმების ვაკანტური თანამდებობანი, უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე 600-მდე კაცი 5-6 წელია ელოდება დანიშვნას ქალაქ თბილისში.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგემ პროფესორმა **პ. გ. შუშანიამ** აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ერთხელ კიდევ ცხადყოფს იმ დიდ ზრუნვას, რასაც პარტია და მთავრობა იჩენენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის, ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

ჯერ კიდევ რევოლუციის ქარცეცხლში, ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დასაწყისში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მითითებით შეიქმნა ორგანიზაციები, რომლებსაც დაევალათ მეთვალყურეობა და დახმარება გაეწიათ დედებისათვის. ჩვენში შექმნილია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ფართო ქსელი, რომლებიც მომსახურებას უწევენ ქალებსა და ბავშვებს. საზღვარგარეთის ასეთ დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკის გაცნობამ დამარწმუნა, რომ საბჭოთა მედიკოსებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს. მაგრამ ჩვენ ვერ დავჯერდებით მიღწეულს. საჭიროა უფრო ფართოდ ვაწარმოოთ ექსპერიმენტული მუშაობა, გამოვნახოთ საშუალებანი, რომლებიც დაძლევენ დაავადებებს. დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერება ენდოკრინოლოგიის დარგში.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა ექიმების კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ საქმეში რაც შეიძლება მეტი წვლილი უნდა შეიტანონ ძველმა გამოცდილმა სპეციალისტებმა, უნდა აღმოიფხვრას ავადმყოფებისადმი ექიმების უსულგულო, გულგრილი დამოკიდებულების შემთხვევები.

თელავის რაიონში სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მუშაობის შესახებ ილაპარაკა რაიონის მთავარმა ექიმმა **რ. გ. ზაალიშვილმა.** სოფლებში რუისპირსა და აკურაში აშენებულია საავადმყოფოები, რომლებმაც სანიმუშად მოაწყეს მოსახლეობის მომსახურება. წლის დამლეგამდე საექსპლოატაციოდ გადაეცემა საავადმყოფო სოფელ ართანაში და სამშობიარო სახლი სოფელ ყარაჯალაში. რაიონში შექმნილია 116 ეგრეთწოდებული მიკროუბანი. ექიმები, ფერშლები, წითელი ჯვრის საზოგადოების აქტივისტები, რომლებიც მიჩენილი ჰყავთ ამ უბნებს, სწავლობენ მშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, ავლინებენ დაავადების მიზეზებს, განსაზღვრავენ მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. სამედიცინო მომსახურებას, დასახლებული პუნქტების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მეოხებით მკვეთრად შემცირდა მოსახლეობაში დაავადებათა რიცხვი. მდინარე ალაზნის ნაპირები ახლო წარსულში მალარიის ბუდე იყო. დაჭაობებული ადგილების ამოშრობის შემდეგ მალარიაც ლიკვიდირებულია.

ამხ. ზაალიშვილი აყენებს საკითხს საავადმყოფოთა ქსელის შემდგომი გაფართოების, კახეთის უძველესი ბალნეოლოგიური კურორტის „თორღვას აბანოს“ კეთილმოწყობის, ბუნებრივ [illegible] რომელიც მდებარეობს მდინარე სტორის [illegible] ... ...

ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების სამედიცინო მომსახურება და ჯანმრთელობის დაცვა

ადამიანის ჯანმრთელობისათვის მუდმივი ზრუნვა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ეს ეხება არ არის სხვა [illegible] ბის ისტორიული-განვითარებითი ალფრთოვანებული საბჭოთა ხალხი მხურვალედ დაუჭერს მხარს ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან „სსრ კავშირის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს ხარისხიანი რძის ნარევებზე. ხშირად ეს ნარევები დამზადებულია, ხოლო რძის ცხიმიანობა დაბალია. რძის სამზარეულოებსა და დამრიგებელ პუნქტებს საკმაო რაოდენობით არა აქვთ სამაცივრო დანადგარები. უნდა მოეწყოს ახალი საბავშვო რძის სამზარეულოები. და ისინი უზრუნველყოფილ იქნან საჭირო ინვენტარით.

თბილისის საგარეუბნო კურორტებზე — წყნეთში, კიკეთში, მანგლისში, კოჯორში — ბევრია სანატორიუმი 7 წელზე უფროსი ბავშვებისათვის, ხოლო ამაზე უმცროსი ბავშვებისათვის არც ერთი ჯანმრთელობის კერა არ არის. უაღრესად საჭიროა მოეწყოს მათთვის სანატორიუმი.

საქართველოს კომპარტიის ტყიბულის რაიკომის პირველმა მდივანმა **კ. მ. ლომაძემ** განაცხადა, რომ რაიონის მთელი ბიუჯეტის 44 პროცენტზე მეტი იხარჯება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე. მოსახლეობას მომსახურებას უწევს დაახლოებით 500 ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალი. ყოველ 38 მოსახლეზე მოდის ექიმი და ორი ფერშალი.

რაიონის სოფლებში, თქვა შემდეგ ამხ. ლომაძემ, არის საავადმყოფოები, რომლებსაც აქვთ 5-10 საწოლი. ისინი უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო სპეციალობათა ექიმებით. საჭიროა შეიქმნას რამდენიმე გამსხვილებული სასოფლო საავადმყოფო და დაკომპლექტდეს ისინი კვალიფიციური ექიმებით.

დამაკმაყოფილებლად ვერ არის დაყენებული ტრანსპორტის საქმე ავადმყოფთა შინ მომსახურებისათვის. ქალაქ ტყიბულის ზოგიერთი რაიონი ცენტრს დაშორებულია 4-5 კილომეტრით და სამედიცინო დაწესებულებანი ვერ უზრუნველყოფენ მძრომელთა დროულ სამედიცინო მომსახურებას. უაღრესად საჭიროა გამოიყოს ზოგიერთი სამკურნალო დაწესებულებისათვის ავტომანქანები.

განუწყვეტლივ ფართოვდება სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი სასოფლო რაიონებში, — ამბობს საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი **ა. მ. დავითაშვილი.** — ამას წინათ გურჯაანში აშენდა პოლიკლინიკის შენობა, ახალი საბაბაზანო შენობა ახტალის კურორტზე, შენდება ბავშვთა სანატორიუმი.

სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობასა და კეთილმოწყობაში ბევრ ინიციატივას იჩენენ კოლმეურნეობები. სოფელ კარდანახის ორმა კოლმეურნეობამ 300 ათასი მანეთი დახარჯა სოფლის საავადმყოფოს რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის. სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გააფართოვა სამშობიარო სახლის შენობა. რაიონის კოლმეურნეობებმა გადაწყვიტეს შვიდწლედში თავიანთი სახსრებით ააშენონ ყოველ სოფელში სასოფლო საექიმო პუნქტისა და აფთიაქის შენობა. ეს მშენებლობანი უნდა უზრუნველყოთ ტიპური პროექტებით.

გურჯაანის რაიონის მშრომელები სოფლების კეთილმოწყობისათვის, ლამაზი საკარმიდამო ნაკვეთებისათვის, რაიონულ ცენტრსა და სოფლებში სანიძუშო სისუფთავისათვის მძრაობის წამომწყებნი არიან. ამ მიმართულებით გაწეულია მნიშვნელოვანი ძუშაობა. გარდა ამისა, ბევრ სოფელში აშენდა აბანო. სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობამ ააშენა აბანოს დიდი შენობა, რომელიც მომსახურებას უწევს ამ დიდი დასახლებული პუნქტის მცხოვრებლებს. ასეთსავე აბანოს აშენებს სოფელ ახაშენის კოლმეურნეობა. ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ გურჯაანში გახსნა მექანიკური სამრეცხაო, რომლითაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სარგებლობს.

დიდი ყურადღება ექცევა წყალსადენების, საკოლმეურნეო ბაზრების, საპარიკმახეროების მშენებლობას.

მშრომელები იწონებენ თბილისის ცნობილ მედიკოსთა პატრიოტულ ინიციატივას, რომლებიც ზოგიერთ სასოფლო სამკურნალო დაწესებულების შეფობა იკისრეს. გურჯაანის რაიონის მშრომელები მოელიან, რომ თბილისელი მედიკოსები შეფობას იკისრებენ მათი რაიონის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებზე.

ძუშათა სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის, საწარმოებში შრომის პირობებისა და უსაშიშრობის ტექნიკის გაუმჯობესების, ჯანსაღი ყოფაცხოვრებისათვის ბრძოლაში მოსახლეობის მონაწილეობის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა **ი. რ. ხვედელიანმა.**

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, — თქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **დ. მ. მამულაძემ,** — აჭარაში იყო 25 ექიმი და 45 ფერშალი. ახლა 150 საავადმყოფოში, ამბულატორიაში, პოლიკლინიკაში, დისპანსერში, სასოფლო საექიმო და სამეანო პუნქტებში მუშაობს 1.678 ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალი.

შავი ზღვის სანაპიროზე წინათ გავრცელებული იყო მალარია, რომლითაც იტანჯებოდა ათასობით ადამიანი. ამ მრობილი ჭაობების ადგილას გაშენებულია ჩაის, ციტრუსების, ეთერხეთოვანი კულტურების პლანტაციები. აშენებულია შესანიშნავი ხღვისპირა კურორტები. ახლა მალარიის ხსენებაც არ არის.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხი და კულტურა, უფრო სრულყოფილი გახდა სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება.

ფართოვდება სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი. შუახევში მუშაობა დაიწყო სარაიონთაშორისო საავადმყოფომ, ბათუმში — ინფექციურმა საავადმყოფომ. მალე გაიხსნება რაიონული საავადმყოფო ქობულეთში და დაიწყება ბავშვთა საავადმყოფოს მშენებლობა ბათუმში. წარმოებს მთელი რიგი საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების რეკონსტრუქცია.

ამასთან ერთად არის მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებები. მთელ რიგ სასოფლო ადგილებში სამედიცინო დაწესებულებები მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, დაკომპლექტებული არ არის ექიმთა კადრებით, არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი მოსახლეობაში სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ჩამორჩება სასპორტო-მასობრივი ძუშაობა. ყველა კოლმეურნეობას როდი აქვს საბავშვო დაწესებულება. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებულია ღონისძიებანი.

ბევრმა ექიმმა თავდადებული შრომით მოიხვეჭა მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა. მათ შორის არიან საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმები ს. ავალიშვილი, თ. ბეთახელი, ს. მაღულიდი, ა. დიასამიძე, თ. რამიშვილი, აჭარის ასსრ დამსახურებული ექიმები, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები გ. ხეჩინაშვილი და ვ. გიორგაძე, ექიმები მ. ვარდოსანიძე, ი. აბოიანი, ვ. დიასამიძე და სხვები.

ქებისა და ყოველგვარი წახალისების ღირსია პატრიოტული ინიციატივა ქალაქის ექიმებისა, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს სამუშაოდ წავიდნენ სასოფლო რაიონებში. მათ შორის არიან ბათუმელი მედიკოსები, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა. მასხულია, ექიმები ნ. აბუსერიძე, გ. მორჩილაძე, ფერშალი რ. აბაძიძე და სხვები, რომლებმაც მოისურვეს სამუშაოდ წავიდნენ აჭარის მაღალმთიან სოფლებში.

აჭარა განთქმულია თავისი კურორტებით. წელს გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და ტურისტთა ბაზების შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის, რაც უზრუნველყოფს მშრომელთა სრულფასოვან დასვენებასა და მკურნალობას.

საქართველოს კომპარტიის მეტხის რაიკომის პირველი მდივანი **ს. ფ. ჭკადუა** ამბობს, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყვეს სვანეთის კულტურისა და ეკონომიკის აყვავება. 20-ზე მეტი საავადმყოფო, პოლიკლინიკა, საექიმო პუნქტი უწევს მომსახურებას მოსახლეობას. რაიონში თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულია ინფექციური და მთელი რიგი სხვა დაავადებანი.

რაიონის სამკურნალო დაწესებულებებს ქმედითს დახმარებას უწევენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი მაღალკვალიფიციურ ექიმთა ბრიგადები. მაგალითად, ბრიგადა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის გ. ქობულიას და ექიმების ო. ჭუმბურიძის, ი. ლაშხისა და სხვათა შემადგენლობით ჩამოვიდა სვანეთში და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება გაუწია მშრომელებს. სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებმა დიდი მუშაობა გასწიეს მალარიის მოსასპობად. ადგილობრივ ექიმებს კონსულტაცია გაუწიეს თბილისელმა მედიკოსებმა.

სასოფლო სამედიცინო დაწესებულებებს დიდ სარგებლობას მოუტანს ქალაქის საავადმყოფოების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კოლექტივთა შეფობა. უნდა შევისწავლოთ სვანეთის მდიდარი საკურორტო რესურსები, გამოვიყენოთ ისინი მშრომელთა სასარგებლოდ.

სამედიცინო კადრების მომზადების საქმის დაყენებაზე ილაპარაკა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორმა **პ. გ. გელბახიანმა.** ამ სასწავლებელში არის 57 კათედრა, მუშაობს მედიცინის მეცნიერებათა 73 დოქტორი და 135 კანდიდატი.

რამდენიმე წლის განმავლობაში ინსტიტუტი ვერ ასრულებდა კურსდამთავრებულთა განაწილების გეგმას. ეს უმთავრესად იყო მიღების დროს სტუდენტთა არასწორი შერჩევის შედეგი. გასული წლიდან შემოღებულია ასეთი პრაქტიკა — ინსტიტუტში ვიღებთ ქალმაგალითებსა და ჭაბუკებს რესპუბლიკის შორეული რაიონებიდან, რათა სწავლის დამთავრების შემდეგ ისინი სამუშაოდ წავიდნენ თავიანთ მშობლიურ რაიონში — სოფელში.

ორატორი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა იზრუნონ მედიცინის მუშაკთა მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად. თავის მხრივ ინსტიტუტის პროფესორები, მასწავლებლები, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები უფრო ხშირად უნდა მიდიოდნენ რაიონებში, სადაც მათი აღზრდილები მუშაობენ, და დახმარებას უწევდნენ მათ.

ქართველ მეტალურგთა ახალგახრდა ქალაქის სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის გამოცდილება პლენუმს გაუზიარა რუსთავის სქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ **ზ. გ. ნადირაშვილმა.** ქალაქში შეიქმნა საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, დისპანსერების, ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების, ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ფართო ქსელი. აქ მრომობს 425 ექიმი, 740 მედიცინის მუშაკი სამუშაო სამედიცინო განათლებით. პოლიკლინიკები მუშაობენ დღისით და საღამოს საათებში, აგრეთვე კვირადღეებში. მსხვილ სამრეწველო საწარმოებზე მიმაგრებული არიან წამყვანი ექიმები. ისინი ადგილზე სწავლობენ მიზეზებს, რომლებიც იწვევს მუშაობის დაავადებას, ამუშავებენ ამ მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს.

დიდ გარდაქმნებზე, რომლებიც სამხრეთ ოსეთში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ილაპარაკა მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. გ. სანაკოევმა.** წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა აქ იყო მხოლოდ ერთი საფერშლო პუნქტი. მშრომელებს არ შეეძლოთ მაშინ ეოცნებათ სამედიცინო მომსახურებაზე. ახლა სამხრეთ ოსეთში მუშაობს 24 საავადმყოფო, 10 სასოფლო ამბულატორია, 35 საფერშლო-სამეანო პუნქტი. იქ მუშაობს 177 ექიმი, 685 ფერშალი, მეანი, მედიცინის და, 100-ზე მეტი ფარმაცევტი.

სამხრეთ ოსეთში განვითარდა საკურორტო სიმდიდრენი. შეიქმნა სანატორიუმი „ძაუ“, ბავშვთა სანატორიუმი და სხვა გამაჯანსაღებელი, სამკურნალო და პროფილაქტიკური დაწესებულებანი.

უკანასკნელ წლებში გაწეულია მუშაობა ზოგიერთი სასოფლო ამბულატორიის საავადმყოფოებად გარდაქმნის, სამედიცინო დაწესებულებათა რეკოსტრუქციისა და გაფართოების დარგში. 11 აფთიაქი და 14 საფთიაქო პუნქტი სულ უფრო სრულად აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს საჭირო მედიკამენტებზე.

შემდეგ სანაკოევი აღნიშნავს ნაკლოვანებებს. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ყოველთვის უნარიანად და დამაკმაყოფილებლად როდი წყვეტენ სამედიცინო მომსახურების საკითხებს. სუსტად ხორციელდება კონტროლი ქალაქ სტალინირის, რაიონული ცენტრებისა და სოფლების სანიტარული მდგომარეობისადმი. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ყურადღება უნდა მიაქციოს ოლქის სამკურნალო დაწესებულებების შევსებას ექიმთა კადრებით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი საფთიაქო სამმართველოს უფროსი **ო. ა. ნიშნიანიძე,** წალკის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე **თ. ა. იანოკოვა,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **ს. ს. ლორთქიფანიძე,** ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **პ. ი. ჩხობაძე** ლაპარაკობენ ღონისძიებებზე, რომლებიც საჭიროა რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, თქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზ. ა. კვაჭაძემ,** რესპუბლიკაში გაწეულია უდიდესი მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის დარგში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. მაგრამ ამ საკითხს ყველგან როდი აქცევენ სათანადო ყურადღებას. გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, მარნეულის, ბოლნისის, ქარელის, თიანეთის რაისაბჭოებს ერთხელაც არ განუხილავთ აღმასკომებისა და სესიების სხდომებზე ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ზოგიერთი რაიაღმასკომის — ახალქალაქის, გეგეჭკორისა და სხვა რაიაღმასკომების უყურადღებობის გამო შარშან აუთვისებელი დარჩა ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებისათვის განკუთვნილი 4.272 ათასი მანეთი. და ეს მაშინ, როცა არის რაიონები, რომლებიც ასიგნობათა გადიდებას თხოულობენ.

პასუხსაგები ამოცანაა სოფლის ექიმების საყოფაცხოვრებო პირობების გაუძჯობესება. ამას ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა. სოფლის ექიმებისათვის უნდა გამოჰყონ საკარმიდამო ნაკვეთები, დაეხმარონ მათ საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. სასოფლო სამედიცინო დაწესებულებათა აგებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ბინების მშენებლობა სამედიცინო პერსონალისათვის, ეს შეეხება განსაკუთრებით კოლმეურნეობებს, როდესაც საუბნო საავადმყოფოებს აშენებენ.

რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები მოვალენი არიან დაუცხრომლად ზრუნავდნენ სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მუდმივ დახმარებას უნდა უწევდნენ მათ მუშაობაში, თვალყურს ადევნებდნენ მათს უზრუნველყოფას საჭირო ინვენტარითა და კვების პროდუქტებით. საჭიროა გაჩაღდეს საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა, ამ მუშაობაში ჩაბმულ იქნას დეპუტატთა აქტივი.

პარტია და მთავრობა დიდ ზრუნვას იჩენენ საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარებისათვის. 1960 წელს სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობისათვის, გარდა კურორტებისა, გამოყოფილია 24 მილიონი მანეთი. შვიდწლიანი გეგმით რესპუბლიკის სოფლებში უნდა აშენდეს საავადმყოფოები 6.100 საწოლით. ეს არის სამუშაოთა დიდი პროგრამა, და ეჭვი არ არის, რომ იგი წარმატებით შესრულდება.

გამოდის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ს. ვ. კურაშოვი.** სამინისტროს კოლეგიის, მედიცინის მუშაკთა სამეცნიერო-ინიციატიბის მეტი არმიის სახელით იგი მიესალმება პლენუმის მონაწილეებს. ორატორი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას. ფაქტებით, მაგალითებით, ციფრებით ცხადყოფს იგი, თუ რა უდიდესი წარმატება მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ ხალხის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში.

ამხ. კურაშოვი შეეხო საკითხებს, რომელთა გადაჭრას უნდა მოხმარდეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ღონისძიებანი. მან ყურადღება მიაქცია, კერძოდ, იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს რესპუბლიკის ქალაქების სანიტარული მდგომარეობა, გაძლიერდეს ბრძოლა დიფტერიის, კუჭ-ნაწლავთა დაავადების წინააღმდეგ. საჭიროა დაუცხრომლად უმჯობესდებოდეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობა, გაძლიერდეს სანიტარული სიფხიზლე, გაუმჯობესდეს სანიტარული ორგანოების საქმიანობა.

შეეხო რა სოფლად ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, ამხ. კურაშოვმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა სოფლის სამკურნალო დაწესებულებათა უზრუნველყოფა ექიმებით, რაიონებში სამედიცინო კადრების დენადობის აღმოფხვრა. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ ექიმების — სოფლად მომუშავე თავმდაბალი მშრომელების მუშაობის პირობები.

რესპუბლიკაში სოფლად ჯანმრთელობის დაცვის საქმის ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ მეტისმეტად წვრილი დაწესებულებებია. მიზანშეუწონელია 10-15-20-საწოლიანი საავადმყოფოების შექმნა. შეუძლებელია მათი აღჭურვა თანამედროვე აპარატურით, ამიტომ მუშაობის ხარისხი აქ თავის სიმაღლეზე ვერა დგას. უმჯობესია საქმის სარგებლობისათვის შევქმნათ მსხვილი რაიონული, საერაიონთაშორისო და საკოლმეურნეობათაშორისო საავადმყოფოები.

ამხ. კურაშოვი დასასრულს შობობს, რომ საქართველოს, რომელსაც აქვს მტკიცე სამკურნალო ბაზა, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ფართო ქსელი, ჰყავს გამოცდილი კადრები, ყველა შესაძლებლობა მოეპოვება, რათა კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიოს საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **გ. მ. მარუაშვილი.** იგი ამბობს, რომ ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი პლენუმის მოწვევა მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა ცხოვრებაში.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა სავსებით სამართლიანი იყო. მედიცინის მუშაკთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი მზად არის ყოველი ღონე იხმაროს, რათა აღმოფხვრას ეს ნაკლოვანებანი, მიაღწიოს მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

ამხ. მარუაშვილმა ილაპარაკა კადრებთან მუშაობაზე, ხაზი გაუსვა იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საშუალო სამედიცინო პერსონალის მომზადების გაძლიერებას. საჭიროა გაუმჯობესდეს დედისა და ბავშვის დაცვა.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ხელსაყრელი პირობები შეიქმნას სასოფლო სამშობიარო სახლებსა და რაიონების სხვა სამკურნალო დაწესებულებებში. ამაში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისათვის დახმარების გაწევა შეუძლიათ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს.

ამხ. მარუაშვილმა პლენუმის მონაწილეთ გააცნო მუშაობა, რომელსაც ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები ეწევიან ცალკეულ ინფექციურ დაავადებათა ლიკვიდაციისათვის, ქალაქებისა და სოფლების სანიტარულ მდგომარეობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. მუშაობის სერიოზული უბანია ბუზების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ბრძოლაში ყველა მოქალაქე უნდა ჩავაბა.

გამოსვლაში გაშუქებული იყო მედიცინის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის საკითხები. მათი არსებითი ნაკლია ის, რომ ეს დაწესებულებანი სუსტად ნერგავენ პრაქტიკაში თავიანთ მიღწევებს.

გადაუდებელი ამოცანაა სამედიცინო ცოდნის პროპაგანდა. ამ მიზნისათვის უნდა გამოვიყენოთ რადიო, ტელევიზია, პრესა. საჭიროა განვმარტოთ პროფილაქტიკის მნიშვნელობა, სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ვ. პ. მჟავანაძეს.** იგი აღნიშნავს, რომ პლენუმის განსახილველად დასმულ საკითხს განსაკუთრებით დიდი და აქტუალური მნიშვნელობა აქვს იმ ამოცანების გადაწყვეტად, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წამოაყენეს დადგენილებაში სსრ კავშირის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და მისი ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ადამიანი, ადამიანის სიცოცხლე ყველაზე ძვირფასი კაპიტალია ჩვენს ქვეყანაში. მთელი ჩვენი უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა, ჰეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნები ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში ემსახურება კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ადამიანის ინტერესებს. საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობა. კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობის უმაღლესი კანონია.

ვ. პ. მჟავანაძე ამბობს, რომ სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებამ, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელმა გაუმჯობესებამ, სამამულო სამედიცინო მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევებმა განაპირობეს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დიდი წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში. სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს საშინელი ეპიდემიები, რომლებსაც მიჰქონდათ ათასობით ადამიანის სიცოცხლე და რომლებსაც, როგორც წესი, იწვევდა წარმოუდგენელი სიღატაკე, სიბინძურე, ის, რომ არ ხორციელდებოდა ელემენტარული სამედიცინო ღონისძიებანი. დამარცხდა ტუბერკულოზი და ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში ბევრი სხვა მრისხანე სენი, რომლებსაც წარმოშობდნენ შრომისა და ყოფა-ცხოვრების აუტანელი პირობები.

შავი ზღვის სანაპიროს უდიდეს ტერიტორიაზე, დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მალარია მძვინვარებდა. იგი საშინელი უბედურება იყო მოსახლეობისათვის. ამას წინათ ვიყავი ამ ადგილებში, ვესაუბრე კოლმეურნეებს. ვეკითხები მათ, ახლა თუ არის მალარია-მეთქი. მიპასუხეს, დიდი ხანია მალარია დაგავიწყდაო. ეს ჩვენი მედიცინის მუშაკების დიდი გამარჯვებაა. სტატისტიკის მონაცემები ჩვენს ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირში მოსახლეობის ყოველწლიური მატების რიცხვი თავისთავად მეტყველებენ. ისინი გვაძლევენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუწყვეტელი გაუმჯობესების მკაფიო სურათს.

ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია კარგი საავადმყოფო როგორც ქალაქში, ისე სოფლად, სადაც მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრები მუშაობენ. მე ამას წინათ დავათვალიერე მთელი რიგი ჩვენი სამკურნალო დაწესებულებანი და უნდა ვთქვა, რომ ისინი მთლიანად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ამხ. მჟავანაძე აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მედიცინის მოღვაწეები — ექიმები, პროფესორები, ჯანმრთელობის დაცვის რიგითი მუშაკების უმრავლესობა თავდადებით იბრძვიან საბჭოთა ადამიანების სიცოცხლისათვის. ისინი არ იშურებენ ძალღონეს, ენერგიას, ზოგჯერ კი ჯანმრთელობასაც, რათა სიკვდილი დამარცხდეს და სიცოცხლემ გაიმარჯვოს. დღისითა და ღამით ხშირად დაუსვენებლად დგანან ისინი მშრომელთა სიცოცხლის საფარაჯოზე.

მნიშვნელოვანი წარმატებანი გვაქვს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების დარგში. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ ჩვენ არა გვაქვს რამე ნაკლი. ხარვეზი, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი ამოცანები. ზოგიერთი ჩვენი პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. ეს მიიჩნია მეორეხარისხოვან საქმედ, რომელსაც არ სჭირდება პარტიული ორგანოების დაძაბული ყურადღება. ეს დიდი შეცდომაა, ამ საკითხის მთელი დიდი მნიშვნელობის შეუფასებლობაა.

მედიცინის დაწესებულებათა მუშაობა პარტიული ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. სამედიცინო მომსახურების დარგში მშრომელთა საჭიროებებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები პარტიული ორგანოების უაღრესად სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა იყოს.

ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ რაიონული, სასოფლო საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მუშაობას. აქ ჩვენ საკმაოდ ბევრი ნაკლი და მტკივნეული ადგილი გვაქვს. ბევრი საავადმყოფო დაკომპლექტებული არ არის ექიმებით, მათ არ ჰყოფნით სამედიცინო ინვენტარი, ცუდი მდგომარეობაა სისუფთავის, წესრიგის, სოფლის მოსახლეობის მომსახურების მხრივაც. მთელი რიგი საავადმყოფოები ვერ აკმაყოფილებენ მშრომელთა მოთხოვნილებებს. მოძრაობას, რომელიც რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებმა წამოიწყეს საკოლმეურნეობათაშორისო საავადმყოფოების მშენებლობისათვის, ვერ მიეცა სათანადო გაქანება. ხოლო რაიონული პარტიული ორგანიზაციები ფორმალურად მოეკიდნენ ამ პატრიოტულ წამოწყებას. ჩვენ უნდა ვაშენოთ დიდი სარაიონთაშორისო და საკოლმეურნეობათაშორისო საავადმყოფოები, სადაც ესაჭიროებათ სამედიცინო კადრები, სადაც იგი ყველაზე მეტად საჭიროა, სადაც მას ნამდვილად შეუძლია სარგებლობა მოუტანოს თავის ხალხს, ახალქალაქს.

სამწუხაროდ, ასეთი მაგალითი არც თუ ისე ცოტაა, რომ შეიძლებოდეს გვერდი ავუაროთ მათ. ასეთი უარის თვითეული შემთხვევა უნდა გახდეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ინსტიტუტის ხელმძღვანელობის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების უაღრესად სერიოზული მსჯელობის საგანი.

ვ. პ. მჟავანაძემ ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა სისუფთავისათვის, სანიმუშო სანიტარული მდგომარეობისათვის, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის. მან აღნიშნა, რომ ამ მუშაობას ჯერ კიდევ კამპანიური ხასიათი აქვს. პარტიული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები შემთხვევიდან შემთხვევამდე, ეპიზოდურად მუშაობენ ამ საკითხებზე. ასეთი მუშაობით არაფერი არ გამოვა. ანტისანიტარია შეუწყნარებელია. მაღალი კულტურა უნდა დამკვიდრდეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უნდა იბრძოდნენ ჯანმრთელობის დაცვის მთელი სისტემის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, კონკრეტულ ქმედითს დახმარებას უწევდნენ მედიცინის მუშაკებს, კონტროლს უწევდნენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობას, რაზმავდნენ მთელ საზოგადოებრიობას მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად.

დასასრულ ვ. პ. მჟავანაძე ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის ბრძოლაზე ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერს მხარს მთელი ჩვენი ხალხი, მხურვალედ იწონებენ ყველა ქვეყნის პატიოსანი ადამიანები. მთელი პროგრესული კაცობრიობა გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დიდ სახელმწიფოთა მეთაურების პარიზის თათბირის ჩაშლისათვის. ყოველი უწინაზრავზო ადამიანი ხედავს ამერიკელი პოლიტიკოსების ვერაგობას, რომლებიც სიტყვით მშვიდობას ეს-წრაფვიან, ხოლო ამავე დროს აგრესიულ მოქმედებას სჩადიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხი მთლიანად იწონებს თავისი მთავრობის მტკიცე პოზიციას. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ

საერთაშორისო
დღეკედები ცხოვრება
ცხოვრება

უშიშროების საბჭოს სპეციალური სესია

ნიუ-იორკი, 23 მაისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დღეს სპეციალურ სესიაზე დაიწყო განხილვა საკითხისა: „საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის აგრესიული მოქმედების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას“.

უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო სესიის დღის წესრიგი, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი ცდილობდა დაეკნინებინა საბჭოთა მთავრობის მიერ შეტანილი საკითხის მნიშვნელობა. საბჭოს თავმჯდომარემ ცეილონის წარმომადგენელმა ელოდ კორეამ გააკეთა მოკლე განცხადება, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნა განსახილველი საკითხის დიდი მნიშვნელობა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ამ საკითხის სასწრაფოდ განხილვა, რამოენადაც ამერიკის სამხედრო ავიაციის პროვოკაციულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეუძლია გამოიწვიოს ძმიმე შედეგები, თუ ახლავე არ იქნა მიღებული ასეთი მოქმედების აღკვეთის სათანადო ღონისძიებანი.

ჩვენს წინაშეა. განაცხადა ა. ა. გრომიკომ არა საკითხი შემთხვევითი სასაზღვრო ინციდენტის შესახებ, არამედ. მშვიდობიან დროს უმაგალითო, წინასწარ მომზადებული და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ცნობით და მითითებით განხორციელებული აგრესიული მოქმედების შესახებ, რომელიც წარმოსაგენია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ჭეშენები ერთმანეთს ეომებიან.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობას ცხადყო იმ ცდების უნიადაგობა, რომ დაეკნინებინათ საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში ამერიკის თვითმფრინავების შეჭრის მნიშვნელობა.

შემოაქვს რა უშიშროების საბჭოს განსახილველად ამერიკის სამხედრო ავიაციის აგრესიული მოქმედების საკითხი, თქვა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, საბჭოთა მთავრობა იმას ემყარება, რომ ამ პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე საშიში მხარეა საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპის გათელვა.

ასეთი პოლიტიკა დიდი საფრთხეა საზღვაოსანთა, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზების გამო, უწინარეს ყოვლისა სამხედრო სისტემის გამო, არ შეუძლიათ სათანადოდ დაიცვან თავისი ინტერესები და თავიანთი თავი აგრესიისაგან, რაც ხოლოდ ადგა საიდუმლო ცნობების მიღების საბაბით.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ თუ გაიმარჯვა ამერიკელ იმპერიალისტთა კონცეფციამ იმის შესახებ, რომ მათ უფლება აქვთ შეიჭრან სხვა საბჭოთა ფარგლებში ან მოთხოვნათა საფარველით, რომლებიც ნაკარნახევია თითქოს თავდაცვის ინტერესებით, ეს მომასწავებელი იქნებოდა აგრესორის წახალისებისა. მაშინ ყველას უნდა გვეღიარებინა, რომ იმ დღიდან, როცა ასეთი კონცეფცია გზას გაიკვლევდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უსახელოდ უნდა მომკვდარიყო.

თავისთავად იგულისხმება, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ დასახელებული მოტივების წამოყენება შეუძლია მხოლოდ იმ მთავრობას, რომელი პოლიტიკა წარმოადგენს აგრესიულობის, მედიდურობისა და ელემენტარული მოთხოვნების უგულებელყოფის კომბინაციას, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ერთმანეთის ურთიერთობაში. ამ ურთიერთობაში წესიერების ელემენტარული მოთხოვნებისადმი.

როგორც საბჭოთა მთავრობას არა ერთგზის განუცხადებია, საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების მთელი ძლიერება დაყენებულ იქნება, თუ საჭირო გახდა, საბჭოთა საზღვრების და ჩვენი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებათა ხელშეუხებლობის დასაცავად. და უნდა ვიფიქროთ, რომ არავის არა აქვს იმის ეჭვი, რომ საბჭოთა კავშირს გააჩნია საკმარ შესაძლებლობა, რათა აიძულოს ვინც უნდა იყოს პატივი სცეს მის უფლებებს.

მაგრამ საკითხი იმის შესახებ, რომ დამბრალ იქნას სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დარღვევის პოლიტიკა, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს, მარტო საბჭოთა კავშირს როდი ეხება. მას აქვს ფართო საერთაშორისო მნიშვნელობა და უაღრესად უშუალოდ ეხება მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბედს. ასეთი პოლიტიკის წახალისების, წაყრუების ანდა თუნდაც პასიური დამოკიდებულების გზას რომ დავადგეთ, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ახალი ომის საფრთხე ასჯერ გადიდდეს.

ა. ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა გამოვიდეს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დასაცავად.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აგრესორისათვის საკადრისი პასუხის გაცემა არ ეწინააღმდეგება ნეიტრალიტეტს საგარეო პოლიტიკის საკითხში. ამ პოზიციამ სავსებით გაამართლა თავისი თავი და შეესაბამება როგორც იმ ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს, რომელთაც ნეიტრალიტეტის გზა აირჩიეს, ისე მშვიდობის ინტერესებს მთლიანად. სრულიად სხვა საკითხი პასიფზა აგრესიის წინაშე. ასეთ პოზიციას საერთო არაფერი აქვს ნეიტრალიტეტთან და იგი ხელსაყრელია მხოლოდ აგრესორებისათვის.

საბჭოთა მთავრობას, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, არ შეუძლია უშიშროების საბჭოს უყურადღება არ მიაქციოს იმ გარემოებას, რომ თავისი თვითმფრინავები ფრენის განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატები იყენებენ ბაზებს, რომლებიც განლაგებულია სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე.

სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიიდან თვითონ დანაშაულებრივ ფრენას საბჭოთა კავშირის ფარგლებში ახორციელებენ ამერიკის თვითმფრინავები, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. გრომიკომ, ფაქტიურად აგრესიის ხელშემწყობნი და თანამონაწილენი არიან.

საბჭოთა კავშირი, განაგრძო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დიდი და მძლავრი სახელმწიფოა, და არავის ნებას არ მისცემს გამოსცადოს მისი მოთმინება, ისარგებლოს მისი მშვიდობისმოყვარეობით და განაგრძოს პროვოკაციები საბჭოთა ტერიტორიის მიმართ. საბჭოთა მთავრობამ სავსებით გარკვევით განაცხადა, თუ რა ბედი მოელის ყველას, ვინც შეიკადრა კვლავ დაარღვიოს ჩვენი ქვეყნის საზღვრები.

შემდეგ ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ ყველა, ვინც არეგვეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და საერთაშორისო ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, ამასთან ერთად გამოდის, როგორც მორალური ნორმების დამრღვევი ადამიანთა ჩვეულებრივი ურთიერთობის დარგში, როგორც ყველი იმის მტერი, რასაც ეწოდება ჰუმანიზმი, ადამიანის ღირსების პატივისცემა.

უშიშროების საბჭოში განსახილველად წარმოდგენილია საკითხი, რომელსაც უდიდესი პრაქტიკული და პრინციპული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისათვის, — საკითხი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის აგრესიული მოქმედების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას. უშიშროების საბჭოს სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრია იმისათვის, რომ ამ საკითხს მიაქციოს სათანადო ყურადღება და რომ მიღებულ იქნას საერთაშორისო ურთიერთობაში ყაჩაღური მეთოდების აღკვეთის საჭირო ღონისძიებანი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვის ღონისძიებანი.

ამ პასუხისმგებლობისათვის თავის არიდება მოიწვევდა მუშტის სამართლის ტრიუმფს კანონიერებაზე; ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და მათი ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევის პოლიტიკა, რაც გამოცხადებულია ვაშინგტონში, გაგრძელდებოდა იმ მზარდი რისკით, რომ ყოველ მომენტში დაინთოს ახალი ომის ხანძარი.

დასასრულ ა. ა. გრომიკომ საბჭოთა მთავრობის დავალებით უშიშროების საბჭოს განსახილველად შეიტანა რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„უშიშროების საბჭო, რომელმაც განიხილა საკითხი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის იმ აგრესიული მოქმედების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას.

აღნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დარღვევა არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს.

მიაჩნია, რომ ასეთი მოქმედება საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას, გმობს ამერიკის თვითმფრინავების შეჭრას სხვა სახელმწიფოთა ფარგლებში და მიაჩნია იგი აგრესიულ აქტად;

წინადადებას აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განახორციელოს ასეთი მოქმედების შეწყვეტისა და მომავალში მისი არდაშვების დაუყოვნებლივი ღონისძიებანი“.

შემდეგ სიტყვა აიღო ამერიკის წარმომადგენელმა გ. კ. ლოჯმა. იგი ამტკიცებდა, რომ შეერთებულ შტატებს თითქოს „არ ჩაედინოთ რაიმე აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“. „შენიშვნებში, რომლებსაც გავაკეთებ, — განაცხადა ლოჯმა, — შეეცდები ცხადყო თუ რატომ არის სწორი ჩემი მტკიცება“.

მაგრამ ამერიკის წარმომადგენლის მთელი ეს ცდები მთლიანად უსაფუძვლო აღმოჩნდა. ლოჯი ამტკიცებდა, რომ ამერიკის თვითმფრინავების ჯაშუშური ფრენა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თითქოს არ წარმოადგენდეს „შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკას“, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა და პრეზიდენტმა თავიანთ 9 და 11 მაისის განცხადებებში აღიარეს, რომ ასეთი ფრენა ნაწილია სპეციალური პროგრამისა, რომელსაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მითითებათა საფუძველზე.

ლოჯი ცდილობდა გამოეხსნა ამერიკის სამხედრო ავიაციის აგრესიული მოქმედების ორგანიზატორები და იქამდე მივიდა, რომ საკადა დაეჯერებინა უშიშროების საბჭოს წევრები, რომ ასეთი ფრენა თითქოს ნორმალური პრაქტიკა იყოს.

ნაცვლად იმისა, რომ ნათელი და დამაჯერებელი პასუხი გაეცა უშიშროების საბჭოსთვის და პირობა მიეცა მისთვის, რომ ასეთი მოქმედება შეწყდება და აღარ განმეორდებაო, ლოჯმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „ზზად არიან“ აწარმოონ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დასადებად „ღია ცის“ ჯაშუშური პროგრამის შესახებ.

ლოჯის გამოსვლა მით უფრო არადამაჯერებელი იყო, რომ ამერიკის გაზეთებიც კი მივიდნენ უშიშროების საბჭოს სხდომის წინ იმ დასკვნამდე, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი ავიაციის აგრესიული მოქმედებით დაარღვიეს საერთაშორისო სამართალი.

24 მაისს გაიმართება უშიშროების საბჭოს მეორე სხდომა.

მდგომარეობა თურქეთში

პარიზი, 23 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, გუშინ თურქეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თურქეთში სამხედრო წესების შენარჩუნების პირიოდში არ გაიაანლოს მეცადინეობა თურქეთის უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც 29 აპრილს დაიხურა ერთი თვით სტუდენტთა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებთან დაკავშირებით. საგამოცდო სესია გადატანილია ოქტომბრისათვის.

„ეიზენჰაუერ-ნიქსონის პოლიტიკა ნამსხვრევების გროვაა“

ამერიკის დემოკრატიული პარტიის განცხადება

ნიუ-იორკი, 23 მაისი. (საკდესი). დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის საკონსულტაციო საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც მკვეთრად აკრიტიკებს ეიზენჰაუერის მთავრობას მისი მოქმედების გამო თვითმფრინავის „უ-2“ ინციდენტთან დაკავშირებით.

განცხადების ავტორები ცდილობენ, ისე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წრეები, პასუხისმგებლობა უმაღლეს დონეზე თათბირის ჩაშლისათვის საბჭოთა კავშირს დააკისრონ. მაგრამ მთლიანად განცხადება უჩვენებს ჩაშლის ნამდვილ დამნაშავეებს — ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, მის პოლიტიკას.

„ეიზენჰაუერ-ნიქსონის მთავრობის საგარეო პოლიტიკა ახლა წარმოადგენს ნამსხვრევების გროვას, — ნათქვამია განცხადებაში. — ცხადი ხდება, რომ შეერთებული შტატების მთავრობის საქმიანობა უაღრესად დიდმნიშვნელოვან დარგებში ქაოსური ხასიათისაა. შეერთებული შტატების სიტყვის პატიოსნება საეჭვოდ არის გამხდარი. გაძლიერდა ყველაფრის გამანადგურებელი ატომგულის ომის საფრთხე“.

„1960 წლის მაისის პირველ ორ კვირაში ეიზენჰაუერ-ნიქსონის მთავრობის საგარეო პოლიტიკამ კრახი განიცადა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა, რომ თვითმფრინავი „უ-2“ ჩამოგდებულია რუსეთის ტერიტორიაზე, ეიზენჰაუერ-ნიქსონის მთავრობა გაიხლართა მთელ რიგ ერთმანეთის საწინააღმდეგო განცხადებებში...“ დოკუმენტში მოყვანილია სიტყვები გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კომენტარიდან: „პრეზიდენტ ეიზენჰაუერს ეკისრება პასუხისმგებლობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეერთებული შტატების მიერ ათ წელიწადში ჩადენილი ყველაზე დიდი სერია დამამცირებელი შეცდომებისათვის...“

„ეს ამბები, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — შეცდომების მარტოოდენ იზოლირებული სერია როდი ყოფილა. ისინი იყო ჩვენი საგარეო და სამხედრო პოლიტიკის დარგში და ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელობის დარგში ღრმად ფესვგადგმულ ნაკლოვანებათა შედეგი. ჩვენმა საგარეო პოლიტიკამ მარცხი განიცადა არა ამასწინანდელი შეცდომების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია უმაღლეს დონეზე თათბირთან, არამედ მიზანსწრაფულობისა და პატიოსნების სრული უქონლობის გამო. ჩვენ მარცხი განვიცადეთ 1960 წლის მაისში იმიტომ, რომ მარცხს განვიცდიდით უკვე წარსულშიც.

ფიისკო პარიზში კვლავ აყენებს მთელ საკითხს იმის შესახებ, რომ ჩვენს ახლანდელ მთავრობას არა აქვს კომპეტენტურობა. ჩვენი პოლიტიკა განიარაღების დარგში ხელისუფლების ჩვენს ალმასრულებელ ორგანოში საქმეთა ქაოსური მდგომარეობის ტიპიური მაგალითია. მთავრობაში სერიოზული უთანხმოებაა განიარაღების საკითხებში და, უფრო კონკრეტულად, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში“.

„და მაინც კონფლიქტები, რომლებიც დაკავ იწვევენ მთავრობაში, არასოდეს არ გადაუჭრია პრეზიდენტს საბოლოოდ. მათ დუმილით უვლიდნენ გვერდს სრულიად უშინაარსო ფორმულებით ანდა საფრთ საკითხებს უკანვე გზავნიდნენ შესაბამის ორგანოებში, სადაც მათ აგრეთვე დუმილით „უვლიდნენ გვერდს ასეთივე დაფორმულებებით, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდათ“.

მაგრამ დამახასიათებელია, რომ განცხადების ავტორები მათ მიერ რეკომენდებულ სხვა ღონისძიებათა შორის მოუწოდებენ „გაფაფართოონ სამხედრო მზადების ამერიკის პროგრამა“.



ქალთა საერთაშორისო ტურნირი

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქალთა პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეშვიდე ტური.

კვლავ წარმატებით იბრძვის სსრ კავშირის ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი **ლარისა ვოლპერტი.** მეშვიდე ტურში მან დაამარცხა **ელიზაბეტ პოლიხრონიადე** (რუმინეთი). საერთაშორისო ოსტატმა **ედიტ კელერ-ბერმანმა** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მოუგო **ე. კაკაბაძეს.**

ძლიერად ჩაატარა პარტია **მანანა ტოგონიძემ. ედიტ ბილეკესთან** (უნგრეთი) და 29-ე სვლაზე გამარჯვება მოიპოვა. საერთაშორისო ოსტატის **კირა ზვორიკინასა** და ოსტატ **ნ. ბაფრინდაშვილის** პარტიაში ნ. გაფრინდაშვილმა დროს გადააცილა და დამარცხდა. **ბენრიეა კონაპაკოვსაამ** (პოლონეთი) მოუგო **ტერეზა შტალდერს** (იუგოსლავია).

7 ტურის შემდეგ წინ არის ლარისა ვოლპერტი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს.

სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

პირველი ქვეჯგუფი

რიგა. 24 მაისი. დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დინის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და რიგის „დაუგავა-რეს-ს“ გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ხარკოვი. 24 მაისი: კიშინიოვის „მოლდოვასა“ და ხარკოვის „ავანგარდს“ შორის შეჯიბრება დამთავრდა კიშინიოველთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

წინ არიან საბჭოთა ტანმოვარჯიშენი

ბუდაპეშტი, 23 მაისი. (საკდესი). ბუდაპეშტის სახალხო სტადიონის სპორტდარბაზში დამთავრდა საბჭოთა კავშირის, რუმინეთის, ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, საფრანგეთის სპორტსმენთა პირადი საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში.

დიდი წარმატება მოიპოვეს საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაეტბმა და ქალებმა. ხელთ იგდეს რა ლიდერობა სავალდებულო პროგრამაში, სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეებმა განამტკიცეს იგი ნებისმიერი ვარჯიშის შემდეგაც.

ქალთა შორის მრავალჭიდში გაიმარჯვა მორდოვინამ, რომელმაც მოაგროვა 75,30 ქულა.

ვაჟ ტანმოვარჯიშეთა შორის საუკეთესო შედეგი გვიჩვენა ლისიცკიმ (სსრ კავშირი) — 113,65 ქულა, მეორე იყო საბჭოთა ტანმოვარჯიშე მილგიულო 112,25 ქულა.

ოსტატის ფოდგების მოსაპოვებლად

დაიწყო ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა საკავშირო ტურნირის მეორე ნახევარი. გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მორიგი ტური.

ოსტატობის კანდიდატმა დ. ჯანოევამ (თბილისი) გაამარტივა პოზიცია ოსტატ ე. სტოლიაროვთან (ლენინგრადი) გამარჯდა. ოსტატობის ოსტატ ზ. ზეზეიდრა ყაიმით დაამთავრა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ვ. ზახარიან (ერევანი, ოსტატობის კანდიდატი) — ლ. არონსონის (ლენინგრადი, ოსტატი), ა. სარქისიან (კიროვაკანი, ოსტატობის კანდიდატი) — გ. ილევიცკისა (სვერდლოვსკი, ოსტატი) და ა. ბლაგინე (თბილისი, ოსტატობის კანდიდატი) — ვ. კირილოვის (ლენინგრადი, ოსტატი) პარტიებში.

მწვავე ბრძოლით გამოირჩეოდა ა. არუთიუნიან (ბაქო, ოსტატობის კანდიდატი)—დ. როვნერის (ლენინგრადი, ოსტატი) პარტია. უარეს პოზიციაში ა. არუთიუნიანი ცაიტნოტში მოხვდა და დამარცხების წინაშე იდგა, მაგრამ მოწინააღმდეგემ მოულოდნელად უხეში შეცდომა დაუშვა, განიცადა მატერიალური ზარალი და შამათი მიიღო.

შ. გიტერმანმა (კიშინიოვი, ოსტატობის კანდიდატი) მოუგო — ა. ბუსლაევს (თბილისი, ოსტატი).—ლ. ლიხტენშტარტენ (ბაქო, ოსტატობის კანდიდატი)—გ. ბასტრიკოვის (სვერდლოვსკი, ოსტატი) პარტია გადაიდო.

დღეისათვის ოსტატთა შორის წინ არიან — გ. ილევიცკი (6 ქულა), ე. სტოლიარი (5,5 ქულა) და გ. ბასტრიკოვი (5 ქულა და 1 გადადებული პარტია), ოსტატობის კანდიდატთა შორის — შ. გიტერმანი და ვ. ზახარიანი, რომლებსაც ოთხნახევარ-ოთხნახევარი ქულა აქვთ.

ეურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქცია ა. წ. 26 მაისს დღის 12 საათზე რედაქციის შენობაში (თბილისი, მახარაძის ქ. № 14) აწყობს მკითხველთა და ავტორთა კონფერენციას.

დასწრება თავისუფალია.

რედაქტორი

დ. მჟელდლიშვილი.

მატჩი ინგლისელ ფეხბურთელებთან

მოსკოვი. 24 მაისი. ამ საერთაშორისო მატჩს დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულები შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ინგლისის არაერთგზის ჩემპიონსა და თასის მფლობელს „შეფილდ უენსდეის“ ხვდებოდა საბჭოთა არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი.

ასპარეზობა საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით აღინიშნა, ისინი ჯობნიდნენ მეტოქეს ტემპში, იერიშების ორგანიზაციაში, კომბინაციებში, თუმცა ამას პირველ ტაიმში შედეგი არ მოუცია. განსაკუთრებით კარგად თამაშობდა ინგლისის ეროვნული ნაკრების მეკარე სპრინჭეტი.

საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობა მეორე ტაიმშიც იგრძნობოდა. მე-16 წუთზე ერთ-ერთი კომბინაცია გოლით დამთავრდა. ბურთი გაიტანა ა. მამიკინმა (№ 8). ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა უკანასკნელ ხუთ წუთში, მაგრამ მდგომარეობა ანგარიშის მხრივ არ შეცვლილა.

მსაჯის — ე. კლავსის (სსრ კავშირი) სახტვენის ხმამ მატჩის დამთავრება გვამცნო. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა 1:0.

კომუნისტი
№ 4 გვერდი, ოთხშაბათი,
25 მაისი, 1960 წ.

ნ. ს. ხრუშჩოვის მიწვევა

ვენა, 23 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ავსტრიაში მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით, ავსტრიის საწარმოებში ეწყობა კრებები, რომელთა მონაწილენი სთხოვენ ნ. ს. ხრუშჩოვს ეწვიოს მათ ქარხნებს. „ზეთი „ფოლკსშტიმე“ აქვეყნებს იმ წერილების ნაწყვეტებს, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნეს შეეპატის საბურღი საწარმოს „პროტესის“ და ნაუთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშების კოლექტივებმა.

აღნიშნავენ რა, რომ ავსტრიელი ხალხი წელს დღესასწაულობს ფაშისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლების 15 წლისთავს და სახელმწიფო ხელშეკრულების დადების 5 წლისთავს, საბურღი საწარმოს მუშები ნ. ს. ხრუშჩოვს სწერენ: „ჩვენ დიდად ვაფასებთ წელის, რომელიც საბჭოთა კავშირმა ამ საქმეში შეტანა. რწმენას გამოვიქვამთ, რომ თქვენი ვიზიტი სამსახურს გაუწევს ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის კულტურული და ეკონომიური კავშირის შემდგომი განმტკიცების საქმეს. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ძლიერ დაინტერესებენ არიან საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობით.

შეეპატის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშები სწერენ: „თქვენი ვიზიტი ავსტრიაში მიგვაჩნია იმის დადასტურებად, რომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის ხალხთა მეგობრობას, ხალხთა შორის ურთიერთგაგების მიღწევას. თქვენი ვიზიტი მოგვაზრია ავსტრიელი ხალხისა და სსრ კავშირის ხალხების მეგობრული ურთიერთობის დამყარების, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის ახალ ნაბიჯად. ჩვენი ქარხნის მუშები მოხარულნი იქნებიან მოგესალმონ თავიანთ ქარხანაში“.

ვისია „მოსკვიჩი“?

საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციები და შემნახველი სალაროები ყოველდღე აწარმოებენ ასობით ნივთის მოგების გაცემასა და ფულის მოგების განაღდებას საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებით.

მარტში ქ. ფოთში გამართული მოგებათა ტირაჟის თითქმის ყველა მოგება უკვე გაცემულია.

უკანასკნელ ტირაჟში ავტომანქანა „ვოლგა“ მოიგო თბილისელმა მუშამ ბორის ივანოვმა. ავტომანქანები „მოსკვიჩი“ მოიგეს და მიიღეს მუშამ ნიკოლოზ მოშჩენსკიმ და ორმა სხვა თბილისელმა. ერთი ავტომანქანა „მოსკვიჩი“ მიიღო ქ. გორის მცხოვრებმა.

8.000 მანეთიანი საწოლი ოთახის გარნიტურები მოიგეს მაიაკოვსკის რაიონის მცხოვრებმა პავლე ჯაფარიძემ და ქ. ბათუმის მცხოვრებმა შალვა მახარაძემ.

ლატარიაში მოგებული ათი პიანინო გაიცა ქუთაისში, სამტრედიაში, გურჯაანსა და ვანის რაიონებში, ფოთსა და თბილისში.

მარტო მიმდინარე წლის ოთხ თვეში საქართველოს მშრომელებმა ლატარიის მოგებათა სახით მიიღეს 4 მილიონამდე მანეთი.

საინტერესოა, რომ გასული წლის ნოემბერში გამართულ ტირაჟში მოგებულ ავტომანქანა „მოსკვიჩზე“ დღემდე წარმოდგენილი არ არის ლატარიის ბილეთი. 1959 წლის ლატარიის მოგებათა განაღდებისა და გაცემის ვადა, როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 30 ივნისს გადის.

ვინია ეს შესანიშნავი მოგება?



თბილისის სტალინის სახელოგის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1960-61 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელი განყოფილების (ქართულ ჯგუფებში) შემდეგ სპეციალობებზე: მათემატიკა, ისტორია, სახალხო მეურნეობის ეკონომიკა (სპეციალიზაციები: მრეწველობის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა), ვაჭრობის ეკონომიკა, ფინანსები და კრედიტი, სტატისტიკა, საბუხჰალტრო აღრიცხვა (სპეციალიზაციები: საბუხჰალტრო აღრიცხვა მრეწველობაში, საბუხჰალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში, საბუხჰალტრო აღრიცხვა ვაჭრობაში), სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა, სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა.

დაუსწრებელ განყოფილებებზე მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი განუსაზღვრელად ასაკისა, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება, მუშაობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებსა და პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში და დადებითად გამოამჟღავნეს თავიანთი თავი პრაქტიკულ სამუშაოზე.

უგამოცდოდ მიიღებიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრიადზე ან ვერცხლის ან ოქროს მედლით და აგრეთვე ის პირები (სამამულო ომის მონაწილენი), რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სპეციალური სასწავლებელი „წარჩინების“ დიპლომით; დანარჩენები ამბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) მათემატიკის სპეციალობაზე — 1) მათემატიკა (წერა და ზეპირი), 2) ფიზიკა (ზეპირი), 3) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

ბ) ისტორიის სპეციალობაზე — 1) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 2) სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი);

გ) ეკონომიურ სპეციალობებზე — 1) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 2) მათემატიკა (ზეპირი), 3) სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), 4) გეოგრაფია (ზეპირი);

დ) საქონლისმცოდნეობის სპეციალობებზე — 1) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 2) ფიზიკა (ზეპირი), 3) ქიმია (ზეპირი).

კონკურსს გარეშე ჩაირიცხებიან, მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევებში, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, აგრეთვე ის პირები, რომლებმაც დამთავრეს ტექნიკუმები ფრიადზე და მუშაობენ სპეციალობის მიხედვით. ამათ შემდეგ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ უმაღლეს სასწავლებლებში არჩეული სპეციალობით და მისაღებ გამოცდებზე მაღალი შეფასებები, აგრეთვე საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულები და ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ მუშათა- და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები.

ის პირები, რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ოქროს ან ვერცხლის მედლით, აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფრიადოსნები, სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში, ჩაირიცხებიან პირველ რიგში.

განცხადებები მიიღება 15 ივნისამდე.

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე არჩეული სპეციალობისა და სპეციალიზაციის აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1) დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესვლისათვის, გაცემული სამუშაო ადგილიდან პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ,

2) საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), 3) ავტობიოგრაფია, 4) 4 ფოტოსურათი (გადიდებული უქუდოდ 3×4 სმ ზომისა), 5) ამონაწერი შ